# ჩანგი

№ 27

შაბათი, 4 აგვისტო

1909 წ.

გაზეთი ღირს: ქალაქ გარეთ: წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 2 მან. 50 კ. ერთი თვით—90 კ. თფილისში: წლით 7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან. 20 კ., ერთი თვით—80 კ. გამოწერა შეიძლება თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ საღამოს 5 ს-მდე 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. საღამოს 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს რედაქცია არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს. ინახავს ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პრინციპიალურ წერილების გამოსაქვეყნებლად შესახებ საჭიროა წინდაწინ მოლაპარაკება. წერილები სუფთათ უნდა იქნეს დაწერილი ცალ გვერდზე და ავტორის სრული ვინაობით. რედაქცია საჭიროთ დაინახავს, წერილს შეასწორ-შეამოკლებს. ადრესის გამოცვლისათვის საჭიროა ... აბაზი. **ფულის გამოსაგზავნი ადრესი:** Тифлисъ, типографія „Сорапань“, **Калистрату Константиновичу Цуладзе.**

**რედაქციის ადრესი:** რუსის ქუჩა, სახლი № 3 ზემო სართულში.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი



## ჩანგი

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

**გაზეთი ღირს:**

როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით **7** მან., ნახევარი წლით **4** მან.

| **ქალაქ გარეთ** | **თფილისში** |
|---|---|
| 3 თვით—2 მან. 50 კაპ. | 3 თვით—2 მან. 20 კაპ. |
| 1 „ — — 90 „ | 1 „ — — 80 „ |

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან**

ცალკე ნომერი ყველგან—**ერთი შაური**

**რედაქციის ადრესი:**

რუსის ქუჩა, სახლი № 3 ზემო სართულში.

**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:**

Тифлисъ, тип. „Сорапань“, **Калистрату Конст. Цуладзе.**

## თამბაქოს* ქარხანა*

## ნ. ი. ბოზარჯიანცისა შვ.—თ.

გამოვიდა ახალი პაპიროსები:

**„ტოვარიში“—20 ცალი 5 კაპ.** (სამ. ფორმ.)

**„დრუჟბა“—20 ცალი 5 კაპ** (წვრ. ფორმ.)

**შენიშვნა:** სავაჭრო სახლმა დაადგინა, ეს პაპიროსები სულ უბრალო ეტიკეტებით გამოუშვას, რომ ამით შეძლება მისცეს მომწევთ, იქონიონ ყოველთვის კარგის ღირსებისა და გემოსპაპიროსები.

**მოითხოვეთ ყველგან.**

ნარდათ მყიდველებისთვის შეკვეთილი საქონელი დამზადდება შეძლების დაგვარათ. (10—ნან.—1)

გაიხსნა ახალი

თფილისის

## კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვაგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

**ექ. ი. გ. ფიდლოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

**ექ. ვ. ლამბაშიძე:** ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ. შეაჩერა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

**ექ. ზ. ა. ი. პოპოვი:** ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირსა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათყ.

**ექ. ზ. მ. მაკაროვი:** შეაჩერა მიღება 1 სექტემბრამდე.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე. $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

**ექ. ი. გომართელი:** ყოველ დღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ, ავათმყ.

**ექ. გ. ხ. მუსხელიშვილი:** ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა 2—$2^1/_1$ ს.; თვალის ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგეობით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. 100—28

კბილის ექიმი

## ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათ-მყოფებს დილით 7—9 ს. საღამოთი 4—8 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს)

## აგასთუმანში

კბილის ექიმი

**სამსონ მაშაუმაძე**

იღებს ავათმყოფებს ყოველდღე მარიამობისთვის გასვლამდე. დაჩა ტერ-მარკაროვისა **№ 42.**


**ტფილისი, 4 აგვისტო**

22 ივლისიდან მოკიდებული დღემდის გრძელდება შვეციაში საყოველთაო მუშათა გაფიცვა. ამ ორი კვირის განმავლობაში არ ყოფილა ერთი შემთხვევაც, რომ 300,000 გაფიცულ მუშათაგანს ვინმეს დაერღვიოს წესიერება, ცუდათ გამოეყენებინოს ამდენი თავისუფალი დრო, ძალადობა ეხმაროს მთავრობის ან კაპიტალის წარმომადგენელზე. სწორედ იშვიათ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს ასეთი მშვიდობიანი, მწყობრი, თავდაჭერილი ხასიათი გაფიცვისა. სად უნდა ვეძიოთ ამის ახსნა? ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ამის მიზეზი მესამე პირთა ჩაურევლობაა კაპიტალისა და შრომას შორის ატეხილ დავაშიო. ამას, უეჭველათ, დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მთავრობის წარმომადგენლები პირდაპირ აღიარებენ იმას, რომ ისინი არავითარ საბუთს არ პოულობენ მუშების მხრით, რომ კონფლიქტში ჩაერიონ და თუ ამგვარი საბუთი კი მისცეს მუშებმა, მაშინ კანონიერება აღდგენილი იქნება უკიდურესი ზომების ხმარებითო. აშკარაა, მთავრობა არ ერევა იმიტომ, რომ ამის საბუთს არ აძლევენ მუშები. აი სად ყოფილა ახსნა მთავრობის უმოქმედობისა და ჩაურევლობისა. უნდა გავტყდეთ და გულახდილათ ვაღიაროთ, რომ ბევრ სხვა ქვეყნებში ამდენი ხნის განმავლობაში მთავრობა იშოვიდა რამე ხელ-ჩასაკიდებელ მიზეზს მუშების მხრით და უსათუოთ ჩაერეოდა შიდ. შვეციელმა მუშებმა თავიდანვე ისე წაიყვანეს საქმე, რომ საზოგადოებრივი აზრი თავისი ქვეყნისა და ევროპისაც მომართეს შვეციელ კაპიტალისტების წინააღმდეგ. როგორ მიაღწიეს ამას? პირველათ კაპიტალისტები იღებენ ხელში იარაღს და შეტევით მიდიან მუშებზე. უკლებენ ჯამაგირს და სამუშაო დროს უგრძელებენ. როცა მუშები ახალ პირობებზე არ თანხმდებიან და გაფიცვას იწყებენ, ეს იყო ერთ დარგში, მაშინ კაპიტალისტები ლოკაუტს უცხადებენ და 40,000 მუშას ულუკმაპუროთ ტოვებენ. ამ წუთიდან მთელი შვეციის მუშები, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დგებიან და მოწინააღმდეგეს შესაფერისათ უპირებენ შეხვედრას; ისინი არ ჩქარობენ, ლოკაუტის საპასუხოთ გაფიცვას ჯერ არ აცხადებენ, უმჯობესათ თვლიან მოლაპარაკების გამართვას. ორი დღისა და ღამის განმავლობაში გრძელდება მოლაპარაკება. მაგრამ ამაოთ! კაპიტალისტები თავისას არ იშლიან და ამის შემდეგ მხოლოდ მუშათა პროფესიონალური და პარტიული ორგანიზაციების შეერთებული კავშირი საყოველთაო გაფიცვას აცხადებს. წინასწარი მოლაპარაკებით კაპიტალისტებთან მუშებმა ქვეყანას უთხრეს, რომ მუშები როდი არიან გაუმაძღარნი, მორიგების წინააღმდეგნი, არამედ კაპიტალისტები. ამ რიგათ, მათ თავის მხარეზე გადმოაქციეს საზოგადო აზრი და მეორე მხრით, დროც მოიგეს გაფიცვის მოსაწყობათ. იწყება გაფიცვა, მაგრამ მუშები აქაც არ ივიწყებენ საზოგადო აზრის დიად მნიშვნელობას. წყალი, სინათლე ყველას უნდა ჰქონდესო, ავათმყოფებს მოვლა, წამალი და ექიმობა, ამიტომაც გაზების „ზავოდებზე“, ელექტრონის სადგურებზე და საავათმყოფოში მუშაობა არ უნდა შეწყდესო და კიდევაც გრძელდება ჩვეულებრივათ. ამ გვარი წინდახედული მოქმედება მუშების მხრით მოწინააღმდეგეს ფრთებს აკვეცს და ბრძოლის სურვილს უნელებს, რადგანაც საზოგადოებრივი აზრი მუშების სასარგებლოთ იზრდება და გაფიცვა მეტ სიმპატიას პოულობს ფართო საზოგადოებაში.

ამ გაფიცვის ხელმძღვანელებს კარგათ ესმით, რომ ამისთანა პირობებში საერთოთ აღებული მუშათა მასსა საშინელ ასაფეთქებელ მასალას წარმოადგენს და აფეთქების ასაცილებლათ, რომელიც, აქვე უნდა ვთქვათ, მტერს უფრო გაახარებს, ყოველ ღონისძიებას ხმარობენ დემაგოგიურ საშუალებებს, ფრაზებს და ყალბ საბუთებს არ მიმართონ: მრავალ ათასიან მიტინგებზე მხოლოდ მარტივი ლაპარაკია, უტყუარი ციფრებით და უცილობელ საბუთებით უმასპინძლდებიან აუდიტორიას და ამ რიგათ, მუშათა მასსა ნამდვილ აზრს ადგენს თავის და მოწინააღმდეგის ძალის შესახებ, ის თავის ძალას ზედმეტათ არ აფასებს და შეცთომაში არ შედის. ასეთია საზოგადო ხასიათი და მიმდინარეობა შვეციელ მუშათა საყოველთაო გაფიცვისა, მასში წითელი ზოლით არის აღნიშნული მუშათა სიდინჯე, წინდახედულობა, ორგანიზატორული ნიჭი, იშვიათი დისციპლინა და ყოველგვარი ანარქისტული მოქმედების უარისყოფა. ყოველივე ეს მოწმობს, რომ შვეციაში მუშათა კულტურული განვითარება ძლიერ მაღლა დგას. სწორედ ეს არის თავი და თავი მიზეზი იმის, რომ გაფიცვა ასე მწყობრათ მიდის, რომ საზოგადო აზრი მუშათა მხარეზეა და ეს იქნება მიზეზი მათი მატერიალური გამარჯვების თუ არა, მორალურის მაინც. ამით ჩვენი მუშებისთვისაც ბევრი რამ არის საყურადღებო ამ გაფიცვაში. ისინიც უნდა ყურადღებით მოეპყრონ ამიტომ ორგანიზაციების შექმნა გამგეობას და მათით სარგებლობას. და ყველა ისინიც, ვისაც საზოგადოებრივი ცხოვრების წინმსვლელობა აინტერესებს, უნდა ცდილობდეს ამ მხრივ მუშათა კლასის დაბრკოლებების შესუსტებას.

## ადგილობრივი პრესა

„ივერია“ ისეა გატაცებული საქართველოს ბედ-იღბლით, მისი აწმყოთი და მომავლით, რომ ახლა, როცა ერობის თათბირი უკვე კარგა ხანია დაწყებულია, არკვევს იმ საკითხს, უნდა მივიღოთ თათბირში მონაწილეობა თუ არაო და ბრძნულათ დაასკვნის: სხვა თუ არაფერი გამოდნა ამ თათბირიდან ფინანსიური მხარე მაინც გვექნება შემუშავებულიო.

„ეს ერობის ფინანსიური მხარე რეფორმის ეკონომიურ საძირკვლის ამოცანაა“.

თვით ერობის ტიპი, მისი კომპეტენცია, ადმინისტრაციასთან დამოკიდებულება და სხვა ასეთები კი უმნიშვნელოთ მიაჩნია; ამ კაპეიკების მოტრფიალე გაზეთს, ალბათ, ერობაც კაპეიკების საქმე ჰგონია. ასეთია მისი დროზე მოსწრებული მსჯელობა და ამის შემდეგ მას კიდევ შესწევს გამბედაობა ასეთი კითხვით მოგვმართოს:

„რა უთხრა, რა ცნობა მისცა ამ ერობის შესახებ თავის მკითხველებს, თუნდ „ჩანგმა“, რამდენათ შეატყობინა მათ უფრო ... ეს, რაც ახლა ხდება ჩვენსა და რუსეთში და სხვ. ეს ცნობები მათ ალბათ, ნაკლებათ საინტერესო გონია, ნაკლებათ სასარგებლოთ“.

რამ დააბრმავა ასე ეს მეორეშაბათე? ალბათ, ტყუილების წერაც კაპეიკების წყარო გონია ისე, როგორც ყოველგვარი საპასუხო წერილებით გაზეთის ავსება და ასე, შიგ კინკლაობის გაპატონება!

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2—3 აგვისტო.

**ოსმალეთი.**

**პარიზი.** გვასაი იტყობინება, კრეტოსის მთავრობამ შეატყობინა მფარველ სახელმწიფოთა გენერალურ კონსულებს, რომ მოლაპარაკებამ მიზანს ვერ მიაღწია მას არ შეუძლია ჩამოხსნას საბერძნეთის დროშა, რომელიც აღმართულია სიმაგრე კანეაზე. 1 აგვისტოს კრიტოსის მთავრობამ შეკრიბა დეპუტატთა პალატა და გადადგომას აპირებს. კრიტოსის მთავრობის ცნობის გამო მფარველ სახელმწიფოებმა გადასწყვიტეს გაგზავნონ კრიტოსისკენ მეორ-მეორე სამხედრო გემი. ინგლისმა განკარგულება მოახდინა დაუყოვნებლივ გაიგზავნოს მალტასთან მდგომარე სამხედრო გემი; ინგლისის მესამე გემიც ემზადება წასასვლელათ. საფრანგეთმა დღეს გასცა ბრძანება კრეისერი „ვიქტორ ჰიუგოს“ გასვლის შესახებ; ტულონიდან კანეისთვის აგრეთვე მზათა ყავთ მესამე გემი. იტალიაც გზავნის მეორე გემს და მესამეც მზათა ყავს. რუსეთი კრიტოსის წყლებში მეორე გემის მისვლამდე კიდევ გაგზავნის საკონნირო ნავს. როდესაც კრიტოსის წყლებში საზღვაო ძალები გაძლიერდება, ისინი დაიწყებენ საბერძნეთის დროშის ძალით ჩამოხსნას იქიდან, თუ ეს უკანასკნელი თვით კრიტოსელებისაგან არ იქნება მანამ ჩამოღებული

**სტამბოლი.** დეპუტატთა პალატის მიერ მიღებული ბიუჯეტი—25,078,000 გირვ. შემოსავალი და 30,528,000 გირ. გასავალი—უცვლელათ მიიღო სენატმა. 5,450,000 გირ. დეფიციტი გადაეცა ფინანსთა მინისტრს სესხის საშუალებით დასაფარავათ.

**ბერლინი.** კომპეტენტურ წრეებში ათინიდან გავასის სააგენტოს ცნობა ოსმალეთის ნოტის შესახებ ითვლება ნაკლებ სარწმუნოთ. ყოველ შემთხვევაში, ოსმალეთის ხელ-მეორე მოთხოვნილება, საბერძნეთმა გამოაცხადოს, რომ აღარაფერს აღარ იტყვის კრიტოსის შესახებო, რადგაც არ ეთანხმება ოფიციალურ ოსმალეთის განზრახვებს. ასეთი მოთხოვნილება ძნელი შესასრულებელია. ყოველი საბერძნეთის მთავრობა, რომელიც კი გამოაცხადებდა, აბსოლიუტურათ ხელს ვიღებ კრიტოსზეო, ჩამოგდებული იქნებოდა საზოგადოებრივი აზრის მიერ.

**სალონიკი.** გაჩხრიკეს ალბანელთა და ბერძენთა მონასტრები. აღმოაჩინეს თოფის საწყობები. დააპატიმრეს რამდენიმე ბერი.

**რომი.** გაზ. „ტრიბუნას„ ცნობით კრეისერი „ტერრუჩიო“ გამოვიდა ნეაპოლიდან და გაემართა კრიტოსისაკენ, როგორც იტალიის მეორე ნაპირის გემი კრიტოსის წყლებში, სადაც უკვე იმყოფება იტალიის კრეისერი „ვეტტორ პიზანი“.

**პარიზი.** გავსს სტამბოლიდან ატყობინებენ: ოსმალეთის მიერ კუნძულ კარპატოსზე ესკადრის გაგზავნის შემდეგ მფარველ სახელმწიფოთა ელჩებმა პორტას წინადადება მისცეს, რათა ეცნობოს ამ უკანასკნელს, რომ მფარველ სახელმწიფოთა მიერ მიღებულია ზომები კრიტოსიდან საბერძნეთის დროშის ჩამოსახსნელათ და სთხოვს პორტას—ნუ აგზავნის თავის ესკადრას იქ.

**ლონდონი** რეიტერის სააგენტოს კანეიდან ატყობინებენ, რომ როცა დეპუტატები მოდიოდნენ, 1 აგვისტოს, საღამოს, ქალაქში შემოვიდა შეიარაღებული გლეხების ჯგუფი და დაიჭირა სიმაგრე, რომ დაეცვათ დროშა.

**საზღვარ-გარეთ**

**სტოკჰოლმი.** გაფიცვა წყნარათ მიმდინარეობს. მრავალი მუშა გავიდა ქალაქიდან განაპირა ადგილებში. გაზეთები რეგულიარულათ გამოდიან, სახაზინო და სამრეწველო დაწესებულებებში მუშაობა ნორმალურათ მიდის, ქუჩის ცხოვრებას ჩვეულებრივი ხასიათი აქვს, სანოვაგე რეგულიარულათ შემოდის. ნავთსადგურის შეუკავშირებელი მუშები 3 აგვისტოდან იწყებენ მუშაობას. კარლსგამიდან იტყობინებიან, რომ ყველა სტამბის მუშებმა გადასწყვიტეს მუშაობის მიმცემთა წინადადებით 3 აგვისტოდან შესწყვიტონ გაფიცვა. კომუნალური მუშები იტყობინებიან, რომ 3 აგვისტოდან ისინიც დაიწყებენ მუშაობას. ჰელსინფორსში ტრამვაის ყველა მოსამსახურენი დაითხოვეს.

**კოპენჰაგენი.** მეფემ უკანასკნელათ წინადადება მისცა გრაფ გოლშტეინ-ლედერბორგს—შეადგინოს ახალი კაბინეთი შეთანხმების საფუძველზე, რომელიც მემარცხენე ჯგუფებმა შეკრეს მხრის დაცვის შესახებ.

**სტოკჰოლმი.** მთავრობამ უარყო გაფიცვის კომიტეტის შუამდგომლობა დემონსტრატიული მსვლელობის მოწყობის შესახებ.

პოლიციამ ღამით ტრამვაის ლიანდაგზე იპოვა ორი დინამიტის პატრონა.

გეტებორგის, კრისტინენსტადის, ენჩეპინგის და ლიდჩეპინგის სტამბის მომუშავეებმა დაადგინეს—განაგრძონ გაფიცვა, მიუხედავათ იმისა, რომ ზოგიერთმა მუშებმა გადასწყვიტეს 3 აგვისტოდან მუშაობა. გეტებორგის ნავთსადგურის მუშებმა განაახლეს მუშაობა.

**ტოკიო.** 1 აგვისტოს ვივეს ტბის რაიონში ძლიერი მიწის ძვრა იყო. დაინგრა მრავალი სახლი კიოტოში და ოსაკში. დღემდე მიღებული ცნობებით მოკლულია 22 და დაჭრილია 70 კაცი. იტყობინებიან, რომ ჩამქრალ ვულკან ისუკის ზედაპირი შიგნით ჩაინგრა. თვით ტოკიოში ემჩნეოდა სუსტი მიწის-ძვრა.

**რუსეთი.**

**ლუგანსკი.** პროკოპოვიჩის მამულში, სტაროზელსკის მაზრაში, გლეხებსა და მუშებს შორის მოხდა შეტაკება. მამულის გამგემ რევოლვერით მოკლა ერთი გლეხი.

**ვილნო.** გაიხსნა მეორე სიეზდი და-

სავლეთ-რუსეთის მართლმორწმუნეთა ძმობის წარმომადგენლებისა. სიეზდის პროგრამაა—ორგანიზაცია ძმობისა, მისიონერებისა, განმანათლებელი და ეკონომიური მოქმედება მათი. სიეზდში მონაწილეობას ღებულობენ საძმოთა ათი გუბერნიის წარმომადგენლები.

**ლოძი**. დაიწვა ახლათ გამართული საქსოვი ქარხანა ინჟენერ ელინისა და ამხ. ზარალი 40,000 მან.

**პეტერბურგი.** პოლკოვნიკი ლიახოვი ინიშნება 50 ქვეითა ბელოსტოკის პოლკის უფროსათ.

**ვასილკოვი**. ცეცხლმა გაანადგურა 200 გლეხის სახლ-კარი და მრავალი პ...რი. ზარალი ნახევარ მილიონ მანეთამდეა

**ქერჩი.** „საზოგადოებათა" საქმეების განსაკუთრებულმა საკრებულომ დახურა შვიდი პროფესიონალური კავშირი წესდების დარღვევისა და კანონის წინააღმდეგ მოქმედებისათვის.

**ორიოლი.** სამხედრო სასამართლოში დაიწყო ბეჟეცკისა და რადიცკის მაქსიმალისტ სოციალისტ-რევოლიუციონერთა მფრინავ რაზმების საქმის გარჩევა. პასუხისგებაში მიცემულია 23 კაცი. მოწმეებათ მოწვეულია 104 კაცი. საქმე გაგრძელდება შვიდ დღეს.

**პეტერბურგი.** დღითი ნევაზე ახალ „ადმირალტეისტვოში" სამანქანო განყოფილებაში აფეთქდა ახალ აშენებული წყლის ქვეშ მავალი ნავი.

**მოსკოვი**. ქ-ნ შახოვსკის სახლში, გაზეთის შესახვევში, ოთახში შევარდა ორი შეიარაღებული მძარცველი. მოსამსახურემ ასტეხა ყვირილი, რის შემდეგ მძარცველები სროლით გაიქცენ. ქუჩაში პოლიციელმა ერთი მათგანი დასჭრა.

**სარატოვი**. ცარიცინში დაიჭირეს მძარცველთა ჯგუფში მონაწილე ქალი, რომელთაც ვორონეჟის გუბერნიაში გაძარცვეს რაევსკის მამული.

**პსკოვი.** ტალაბსკში ადგილობრივი მცხოვრებლები თავს დაესხენ ხოლერიანთა მოსათავსებელ სახლს, სცემს მთელ მედიცინურ პერსონალს და წაიყვანეს ხუთი ხოლერიანი ავათმყოფი სახლებში. ამას გამო ელიან საგუბერნიო მმართველს.

**ტვერი.** 30 ივლისს, სადგურ ზავიდოვოს ახლო, ნიკოლაევის რკინის გზაზე თავს დაესხენ ფოსტას. მეეტლე და ფოსტალიონი მძიმეთ დაიჭრა, მეორე ფოსტალიონი მსუბუქათ. ფოსტა უვნებლათ გადარჩა.

**პეტერბურგი**. წყლის ქვეშ მავალი ნავი „დრაკონი", რომელზედაც დღეს აფეთქდა „ბენზინომატორი", აშენებული იყო კერძო სანავთ-აშშენებლო ქარხანაში; ის ჯერ კიდევ გამოცდაში იმყოფებოდა და საზღვაო უწყებას არ ქონდა ჩაბარებული. მისი კამანდა შესდგებოდა ინჟენერისა, სანავთ-აშშენებლო ქარხნის მუშებისა და საზღვაო უწყების ოსტატისაგან. აფეთქების დროს კამანდის ერთი ნაწილი დაიწვა, ხოლო მეორე გამოყრილ იქნა ნევაზე, სადაც გადაარჩინეს. განსაკუთრებით დაზიანდენ ინჟენერი, ქარხნის 12 მუშა და ოსტატი. დამწვართა გოსპიტალში მიტანის დროს ერთი მათგანი მოკვდა. კატასტროფის ალაგას დაუყოვნებლივ მივიდენ საზღვაო უწყების მოხელენი ვიცე-ადმირალი გრიგოროვიჩის მეთაურობით. ჩქარა მოვიდა საზღვაო მინისტრიც.

**ტულა**. გაიხსნა ბაღებისა და ტყის მფლობელების მეთერმეტე სრულიად რუსეთის სიეზდი, რომელიც გაგრძელდება ათ აგვისტომდე.

**ადესა**. სანიტარულ-აღმასრულებელსაავათმყოფოს კომისიის შეერთებულ სხდომაზე შებრუნებულ ტიფის ეპიდემიის წინააღმდეგ შემუშავებული იქნა ზომები. სხვათა შორის გადაწყვეტილია დაქირავებულ იქნას აბანოები უფასო თავშესაფარში მყოფთათვის და მიეცეს უფასო სადილები მათ აბანოთი სარგებლობის დღეს.

**ვორონეჟი**. დაატყვევეს მძარცველთა ბრბო 27 კაცისაგან შემდგარი, რომელთაც მოახდინეს 21 ძარცვა და ერთი მკვლელობა. ხელში ჩაიგდეს თოფების, პატრონების და გრიმის მოწყობილობის საწყობი. ერთ დატყვევებულთაგანის დედას წაართვეს 3,900 მან. განძარცვავი ფული.

**ვილნო.** დასავლეთ რუსეთის ძმობის წარმომადგენელთა სიეზდზე არქი-ეპისკოპოსმა ნიკანდრმა მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა ისტორიული მნიშვნელობა „საძმოებისა" დასავლეთ რუსეთში და სიეზდის წინაშე დამდგარ მოვალეობის ისტორიული მნიშვნელობა ნაციონალურ შეგნებისა და ქრისტიანობის გამაგრების საქმეში. სიეზდის მონაწილეთ დეპეშა გაუგზავნეს ხელმწიფეს უქვეშევრდომილესი გრძნობების გამოსახატავათ. უმთავრესი მოტივი წარმოთქმულ სიტყვებისა მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთის ხალხი მჭიდროთ უნდა შეკავშირდეს ეკლესიის გარშემო და მედგრათ დაიცვას ძველი რუსეთის საფუძვლები და იდეალები.

**ხ ო ლ ე რ ა**

**პეტერბურგი**. ავათ გახდა 24, მოკვდა 10, ავათ არის 392.

**რიგა**. ავათ გახდა 1, მოკვდა 1.

**პოლოცკი**. 29 აგვისტოდან 1 ივლისამდე ავათ გახდა 33, მოკვდა 12.

**არხანგელსკი**. ავათ გახდა 2, მოკვდა 4. მაზრაში ავათ გახდა 19, მოკვდა 13.

**ეკატერინბურგი**. ტიუმენში ავათ გახდა 3, მოკვდა 3.

**ნიჟეგოროდის იარმაკა**. ქალაქში ხოლერით ავათ გახდომის მაგალითი იყო.

**ნოვგოროდი**. წარსულ კვირაში ავათ გახდა 2, მოკვდა 2. მთელ გუბერნიაში ავათ გახდა 28, მოკვდა 17.

**პოლტავა.** გადიაჩის მაზრაში ავათ გახდა 19, მოკვდა 5. კრემენჩუგში ავათ გახდა 1.

**იაროსლავლი.** იაროსლავლში და მაზრაში ავათ გახდა 6, მოკვდა 2, რიბინსკში და მის მაზრაში ავათ გახდა 4.

# უკანასკნელი ფოსტა

**სპარსეთი**

**მოზზაფარედ-მოლკი.** შაჰ ნასსერ-ედინის დროს ერთი მთავარ მოღვაწეთაგანი იყო. ის დიდხანს იყო ლურისტანის გუბერნატორათ: იქაური მცხოვრებნი შიშით იხსენიებენ მას. მისმა თვითნებობამ და სიმხეცემ ბევრი უმანკო მსხვერპლი შეიწირა. ის სჯიდა სიკვდილით თავის სახლის აივანთან და თხოულობდა დასჯა ხანგრძლივი ყოფილიყო. მოზაფრ-ედინი შაჰის დროს ის ქალაქ გაბარანის გუბერნატორათ იყო, სადაც მას ყასაბს ეძახდენ. სიკვდილით დასჯა და წამება ყოველ კვირა ხდებოდა ოთხშაბათობით. მეჯლისის დანგრევის შემდეგ მან მოკლა ხალხის საყვარელი ორატორი მოხუცი სეიდ-ჯალელდინი. უკანასკნელ ხანებში ის თეირანში მიიწვია მაჰომედ ალიმ აქ მან შეიხ ფაზულასთან ერთან მონაწილეობა მიიღო შეთქმულობაში.

**რუსეთის დიპლომატა და სპარსეთი.** პეტერბურგის დიპლომატიურ წრებში ხმები დადის, რომ რუსეთის პოლიტიკაში სპარსეთში მოკლე ხანში ძირითადი ცვლილება იქნება შეტანილიო. მაღალ სფერებში იმარჯვებს ის მიმდინარეობა, რომელიც მტრული თვალით უყურებს სპარსეთის ახალ მთავრობას. განზრახვა აქვთ დროებით შეაჩერონ ფოსტა და დაკეტონ ყველა რუსეთის დაწესებულებები შახის სამფლობელოში, ეს კი დიდ სიძნელეს დაბადებს სპარსეთის ვაჭრობა მრეწველობისთვის.

**ყოფილი შაჰის მოვალეები.** შახის მოვალეებს იუსტიციის მინისტრმა წინადადება მისცა დაუყონებლივ მოსთხოვონ მას თავიანთ ვალი, სანამ მაჰომედალი წავიდოდეს სპარსეთიდან, რადგან შემდეგ ვალის აღება ძნელი იქნებაო.

**ლიახოვი სპარსეთის შესახებ**. „ბ." სიტყვით ლიახოვს „გოლ. მოს კ." თანამშრომელისთვის შემდეგი უთქვამს: „საქმეთა მდგომარეობა სპარსეთში მე სრულიათ გაურკვევლათ მეჩვენება. დამშვიდება ჯერ კიდევ შორსაა; 4 პროვინცია—ადერბეიჯანის, თავრიზის, ზენჯანის (?) და შირაზის—მღელვარებითაა მოცული. აქ პროტესტს აცხადებენ შაჰის ჩამოგდების გამო. ადვილი შესაძლებელია აღმოჩნდენ ტახტზე ახალი მოქიშპენი. სისხლის ტალღებს შეუძლიათ კვლავ მორწყონ სპარსეთი".

**ახალი შაჰის მანიფესტი**. თეირანიდან ბაქოს ატყობინებენ: გამოქვეყნებულია ახალი მანიფესტი შაჰ ახმედის, მიმართული რეგენტისადმი. უცხადებს რა ხალხს უღრმეს მადლობას შაჰათ არჩევისათვის, ახმედ-მირზა ამბობს:

„მე—თუმცა ბავში ვარ, სრულიად წერა-კითხვის უცოდინარი, მაგრამ კარგათ ვგრძნობ, რომ თავისუფლება ყველაფერს სჯობია ქვეყნათ, მე გულწრფელათ შემიყვარდა ის და სიტყვა „კონსტიტუცია" ჩემთვის აღარ არის საშიშარი. ეხლა მთელი ჩემი აზრი და მისწრაფება იქითკენ იქნება მიმართული, რომ სპარსეთის ხალხმა, უკანასკნელათ, იცხოვროს კაცობრიული ცხოვრებით.

**ოსმალეთი**

**ახალგაზრდა ოსმალთა აგიტაციის შეჩერება ომის სასარგებლოთ.** „რუსსკოე სლოვოს" ტელეგრაფით ატყობინებენ, რომ ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტის მოწყრილობის თანახმათ მაკედონიის ვილაიეტებში შეწყდა აგიტაცია საბერძნეთთან ომის სასარგებლოთ. კომიტეტმა გადაწყვიტა ეცადოს რა მიმდინარეობას მიიღებს კრიტოსის საკითხი. მიუხედავათ ამისა ყველგან დიდი მზადებაა საბერძნეთის საქონლისათვის ბოიკოტის გამოსაცხადებლათ.

**ოსმალეთის ჯარი**. ოსმალეთის ჯარი და ფლოტი უკვე მზათაა სამრათ და უცდის მხოლოდ ბრძანებას, რომ საბერძნეთისკენ გაეშუროს.

**საზღვარ-გარეთ.**

**ჩინეთ იაპონიის კონფლიქტი**. ჩინეთ-იაპონიას შორის მომხდარი კონფლიქტი დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს დიპლომატიურ წრეებში. საზოგადო აზრი ისეთია, რომ იაპონიამ განგებ გამოიწვია კონფლიქტი, რაც სავსებით რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართულიო. არავის ეჭვი არა აქვს, რომ ჩინეთი დაუთმობს. დიპლომატიურ წრეებში დარწმუნებული არიან, რომ როგორც კი ჩინეთი დააკმაყოფილებს იაპონიის მოთხოვნებს, შემდეგ ის კითხვას აღძრავს ციენ-დაოს შესახებ. იაპონია ამტკიცებს, რომ ეს ადგილი დიდი სტრატეგიული პუნქტი იქნება იაპონიისთვის რუსეთის წინააღმდეგ. ამ ადგილზე გადის მდინარე ტუმინი, რომელიც ერთვის მეორე დიდ წყალს. ამ წყლის შესართავი ვლადივასტოკზე შორს არ არის.

იაპონიას აზრათ აქვს ამ შესართავთან ნავთსადგური გამართოს იაპონიის ფლოტისთვის.

დიპლომატიურ წრეებში ირწმუნებიან, რომ იაპონია, მიიღებს თუ არა ციენდაოს, ხელათ მდ. ტუმინს რკინის გზით გირინთან შეაერთებსო.

**რუსეთ - ჩინეთის ხელშეკრულობა.** რუსეთ-ჩინეთის ხელშეკრულოება თანდათან უკმაყოფილებას იწვევს. ამერიკამ მთელი კამპანია დაიწყო მის წინააღმდეგ. ინგლისი ხარბინში გზავნის თავის ელჩს

---

# მონიზმი ბიოლოგიაში

**V.**

როცა ბუნებას ვაკვირდებით, როცა ვსწავლობთ მცენარეთა და ცხოველთა სამეფოებს, ჩვენ ყურადღებას იქცევს მათი უნაკლულობა, სისრულე და სიმშვენიერე; ყოველივე ორგანიზმი შეგუებულია ცხოვრების პირობებთან.

რატომ არიან ორგანიზმები ასე სრულნი და მშვენიერნი? რატომ არიან ცხოვრების პირობებთან ასე შეგუებულნი?

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ორგანიზმები განირჩევიან ერთი მეორისაგან რელატიურათ და არა ობსოლიუტურათ; მათ შორის არსებობს ნათესაობა, მაშასადამე, მზგავსებაც; ვიცით, რომ ისინი ნაყოფია ისტორიული განვითარების პროცესისა.

მაგრამ, რატომ ეს ისტორიული პროცესი განვითარებისაკენ მიდიოდა? რატომ ორგანიული ბუნების ძირითადი კანონი პროგრესსია და არა რეგრესსი?. აი კითხვები, რომელნიც უნდა გადაეწყვიტა ბიოლოგიას, რომ ის მთლად მონისტური გამხდარიყო.

ხშირათ პოეტნი და მეცნიერნი აღტაცებით აღწერდენ ბუნების სისრულეს და ჰარმონიას; როცა მათ მისცემდით კითხვას: „რატომ არის ბუნება ასეთი მშვენიერი და მომხიბლავიო?" გიპასუხებდენ: „იმიტომ, რომ ასე არის ის გაჩენილი ბუნებრივი ძალით". ეს პასუხი თეოლოგიურია, ჩვენ უკვე ვიცით მისი ფასი—არიან მეორე კატეგორიის მოაზრენი, მათ თელეოლოგებს ეძახიან. ისინი ამტკიცებენ, რომ ბუნებას აქვს ერთი განსაზღვრული მიზანი; ამ მიზნის სისრულეში მოსაყვანათ ჩნდება ესა თუ ის ორგანო, ესა თუ ის ორგანიზმი. ბუნებამ წინ და წინ იცის, როგორი უნდა იყოს ორგანიზმი. თეოლოგიურ და თელეოლოგიურ აზროვნებათა შორის არსებითი განსხვავება არ არსებობს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ თეოლოგები თავის სულელურ აზრს და სახეს პირდაპირ და ნათლათ განახვებენ, თელეოლოგები კი მათ მოძღვრებას უფრო ბუნდოვანათ და გაუგებრათ სთქვამენ და მით, მას ვითომ მეტ ფასს და სინდინჯეს აძლევენ.

არც ლამარკს უპასუხნია ამ კითხვებზე. ის ამტკიცებდა, რომ ორგანიზმი იცვლება გარეშე პირობების გავლენით, მაგრამ ცვალებადობა შეიძლება იყოს ორგანიზმისათვის მარგებელი ან მავნებელი, ან უფრო ხშირათ არც მარგებელი, არც მავნებელი. ორგანიზმთა სისრულეს, მათ ცხოვრების პირობებთან შეგუებას, ორგანიული ბუნების პროგრესს ლამარკი არ ხსნის. ამ პრობლემათა გადაწყვეტა წილათ ხვდა ჩარლზ დარვინს.

ჩვენ ვიცით, რომ მცენარეთა და ცხოველთა ყოველივე ჯიში მრავლდება, რომ ერთი მცენარის ყველა თესლს ნაყოფი გამოეღო, ეს მცენარე ისე გამრავლდებოდა, რომ მისი მესამე თუ მეოთხე მოდგმა მთელ დედამიწას დაფარავდა. მეცნიერნი გვიმტკიცებენ, რომ წყლის ერთ წვეთში ოცდაათი მილიონი ბაქტერია სუფევს და მათი რიცხვი ყოველ ოც წუთში ორკეცდება, ორჯერ მეტი ხდება. ინფუზორიათა ერთი ჯიში (stulonichia piztulata), რომლის დანახვა ჩვენ მხოლოდ მიკროსკოპით შეგვიძლია, ექვს დღეში ათ ბილიონათ იქცევა. ყველა ცხოველს და კაცს რომ ეცხოვრა მთელ ხმელეთს და წყალს დაფარავდა. აქედან ჩვენ ნათლათ ვხედავთ, რომ რამდენიმე მილიონ ორგანიზმში, ერთი რჩება, ცოცხლობს, დანარჩენი კი იღუპება.

ყველა ორგანიზმთ სჭირია საზრდოსაკვები. რამდენათ მათი რიცხვი მატულობს და მრავლდება, იმდენათ მათი სარჩო კლებულობს და მცირდება, იმდენათ ბრძოლა ცხოვრებისათვის უფრო მკაცრდება და რთულდება. ვინ აჩენს ამ ბრძოლაში განაჩენს? ბუნების ბრმა ძალა. ვინ იმარჯვებს აქ? იმარჯვებს ის, ვისაც უპირატესობა აქვს თავის კონკურენტებზე, იმარჯვებს ის, ვისი ორგანიზაციაც უფრო სრული და უნაკლულოა, ესე იგი, ვინც ცხოვრების პირობებთან უფრო შეგუებულია. ერთ რომელიმე თავის მოწინააღმდეგეზე თუ იმარჯვებს ორგანიზმი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მან მთლათ გაიმარჯვა. მას ირგვლივ არტყია ბევრი სხვა ორგანიზმები, რომლებიც ცდილობენ თავისთვის წაილონ მეტი საზრდო, მეტი მზის სხივი, მეტი მიწის სივრცე. თითოეული ორგანიზმი რჩება ცოცხალი მხოლოდ მაშინ, თუ ის ყველა თავის მოწინააღმდეგეს სჯობნის, თუ ის ყველაზე უფრო ეგუება ცხოვრების პირობებს. ამ ბრძოლაში უმაღლესი ინსტანცია ორგანიზმთა სისრულეა; ამ ბრძოლის შედეგია უფრო სრული, უფრო შეგუებული ორგანიზმის შენახვა. აქ ის, რაც ყველა ორგანიზმს სისრულის და უპირატესობის დაღს ასვამს, ბუნებრივი შერევა (естественный отборъ) არის. მაშ, ჰარმონია ორგანიზმთა და ცხოვრების პირობებთა შორის ბუნებრივი შერჩევის შედეგია.

ცხოვრების პირობები მუდამ რთულდება და იცვლება; აქ მუდმივი მოძრაობაა. ბუნებაში შეურყეველი, უმოძრაო და უცვლელი არაფერია. აქ, „ყველაფერი მოძრაობს, ყველაფერი იცვლება". ამ მუდმივ მოძრაობაში, მუდმივ ცვალებადობაში და ბრძოლაში ვითარდებიან სულ უფრო და უფრო რთული, სრული და ცხოვრების პირობებთან შეგუებულნი არსებანი.

ბუნებაში შეუძლებელია ნახოთ ორი ერთმანეთის აბსოლიუტურათ მზგავსი არსება. რამდენიც გინდა ეძებოთ, ვერ ნახავთ ორ ყოველის მხრივ ერთმანეთის მზგავს მცენარეს, ცხოველს ან კაცს. არ შეგვიძლია ვნახოთ აგრეთვე არც ორი აბსოლიუტურათ არ მზგავსი ორგანიზმი; ცოტა მზგავსება, ან შინაგანი, ან გარეგანი მაინც იქნება. მაშ, ორი ორგანიზმი ერთ და იმავე დროს ჰგვანან და არც ჰგვანან ერთმანეთს. რატომ არ ჰგვანან ისინი ერთმანეთს? მიტომ, რომ არ შეიძლება ორი ორგანიზმი აბსოლიუტურათ ერთ და იმავე პირობებში ცხოვრობდეს. ცხოვრების პირობების სხვადასხვაობა იწვევს ორგანიზმთა სხვადასხვაობას. აქ ცვალებადობის კანონია.

რატომ არის მზგავსება ორ ორგანიზმთა შორის? იმიტომ, რომ მათ შორის ნათესაობაა; იმიტომ, რომ განსაკუთრებული თვისებები ერთი მოდგმიდან მეორე მოდგმაზე გადადის. აქ მემკვიდრეობის კანონია.

ცვალებადობა იძლევა მასალას, მემკვიდრეობა აგროვებს და ინახავს ამ მასალას. უფრო კარგათ შეკრებული, უფრო კარგათ შენახული მასალა სცოცხლობს და ვითარდება ბუნებრივი შერჩევის ძალით. ცუდათ შეგროვილი, ცუდათ შენახული მასალა ვერ ხეირობს და იღუპება. ცვალებადობა, მემკვიდრეობა, ბუნებრივი შერჩევა, აი სამი ფაქტორი ორგანიულ ბუნების ისტორიულ პროგრესისა. აი, როგორ გადაწყვიტა დარვინმა ის კითხვები, რომლების გადაწყვეტა არ ძალუძს არც თეოლოგებს, არც თელეოლოგებს, რომელნიც არ გადაუწყვეტია არც ლამარკს.

როცა ვსწავლობთ ორგანიზმს, მის ცხოვრების მოვლენებს, ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს გამოვაცალკეოთ ისინი სხვა ორგანიზმთაგან, გამოვთიშოთ ცხოვრების სხვა მოვლენებისაგან. ყოველივე ორგანიზმი მთელ ორგანიულ ბუნების ჯაჭვის ერთი რგოლთაგანია. ის შედეგია წარსულის, მასზე გავლენა აქვს აწმყოს.

აქ თავის თავათ იბადება კითხვა, თუ სად არის ორგანიული ბუნების დასაწყისი, საიდან მოდის ის? თუ მას აქვს ისტორია, სად არის ამ ისტორიის დასაწყისი? ორგანიულ და არა-ორგანიულ ბუნებას აქვთ რამე კავშირი, თუ ისინი აბსოლიუტურათ განირჩევიან ერთი მეორესაგან? ორგანიული ბუნება მომდინარეობს არა-ორგანიულიდან თუ არა?

ჩვენ წინა წერილებში ვამტკიცებდით, რომ ყოველივე რთული, მაღალ საფეხურზე მდგომი ორგანიზმი, ცხოველია ის თუ მცენარე, უფრო უბრალო, დაბალ საფეხურზე მდგომ ორგანიზმისაგან მომდინარეობს; რომ ყველა რთული არსება, არა რთულ, ერთ უჯრიან არსებასაგან ვითარდებოდა; რომ უჯრა ბიოლოგიური ერთეულია. მაშ, ჩვენ არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ რთული, ბევრ უჯრიანი ორგანიზმი პირდაპირ არა ორგანიულ ბუნებისაგან მოდის.

მაგრამ საიდან მოდის თვით ეს უბრალო არსება, ეს უჯრა? სად აქვს მას დასაწყისი? აქ იმბება კითხვა თავისით ჩასახვაზედ (peneration spontanée, самопроизвольное зарожденіе), რომელიც კაცობრიობას მთელი საუკუნოებით სტანჯავდა, და რომელიც მას კიდევ ვერ გადაუწყვეტია. ხდება ეხლა თავისით ჩასახვა? თუ ჩვენ არ შეგვიძლია ეს დავამტკიცოთ, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ თავისით ჩასახვა შესაძლებელი იყო წარსულში, ან მოხდება მომავალში? აი, რიგი კითხვებისა, რომელიც თხოულობს პასუხს, როგორ პასუხს აძლევდენ ამ კითხვებზე სხვადასხვა დროს მეცნიერნი?

კიდევ საბერძნეთის ბრძენი, არისტოტელი ამტკიცებდა, რომ ისეთი რთული არსებანი, როგორიც არიან მცენარენი ნამისაგან მომდინარეობენო. ასეთი აზრისა იყვენ რომაელებიც: ვირგილი, ლუკრეცი, ოვიდი და სხვა. მეჩვიდმეტე საუკუნეში ექიმი გელმონი ფიქრობდა, რომ თუ ერთ უწმინდურ პერანგს, პურის მარცვლებს და ყველის ნაჭერს ჩავდებთ ერთ რომელიმე ქურქელში, აქედან უსათოთ თაგვი წარმოიშობაო. ამ დროსვე ერთი იტალიელი, ბუონნანი ცდილობდა ქვეყანა დაერწმუნებია, რომ მან ჰპოვა ხის ისეთი ჯიში, რომელიც ზღვის წყალში მატლათ იქცევა, მატლიდან მერმე პეპელა ჩნდება და პეპელიდან კი ჩიტი გამოდისო. ფაქტთა ამნაირ სულელური კავშირის მტკიცება შესაძლებელი ხდებოდა, რადგან არ იცოდენ მოვლენათა ექსპერიმენტალური წესით შემოწმება. გელმონმა, მაგალითად, ნახა სადმე ქურქელში წვირიანი პერანგი, პურის მარცვალი, ყველის ნაჭერი და აქ ყველის და მარცვლის საჭმელათ მოსული თაგვი, მან გაანძრია ქურქელი, თაგვი შეშინდა და გაიქცა. გელმონმა დაასკვნა: აქ თაგვი თავისით ისახება, ჩნდება პერანგისაგან, ყველისაგან და მარცვლისაგანო. მას რომ მეორე ქურქელი მოეტანა და აქ სხვა პერანგი, ყველი და მარცვალი ჩაედვა და აქვე ედარაჯნა, რომ შიგ თაგვი არ ჩასულიყო, ერთი სიტყვით, მას რომ ექსპერიმენტი მოეხდინა დარწმუნდებოდა, რომ მისი მოსაზრებები ფანტასტიურია, რომ თაგვს არ შეუძლია ამ ნაირ პირობებში გაჩნდეს. მაგრამ შემდეგ, როცა მეცნიერების მეთოდი რეალურ ნიადგზე დგება, ის თანდათან მისტიკისა და ფანტაზიის მონობისაგან თავისუფლდება.

ჟენევა, 1909 წ. **კ. გვარჯალაძე.**

(დასასრული იქნება).

მოხსენების შესადგენში. ამ ხელშეკრულობას საბუთათ გამოიყენებს იაპონია რომ დააჩქაროს ანდუნ-მუკდენის რკინის გზის საკითხის გადაწყვეტა.

**გაფიცულთა მდგომარეობა.** „კასპ“ სტოკჰოლმიდან დეპეშით ატყობინებენ. მუშათა შორის სრული სიჩუმეა. ყველგან მასიური კრებები ხდება. მოსალოდნელია ტაქტიკის შეცვლა.

**მეფის შუამდგომლობა.** „რუს. სლ.“ სიტყვით 27 ივლისს მეფემ მოიწვია თავისთან მოსალაპარაკებლათ ხაზეინების წარმომადგენელი სიდოვი და პროფესიონალურ კავშირებს თავმჯდომარე ლინდკვისტი. საუბარის შინაარსი საიდუმლოა, მაგრამ ამასთანავე ირწმუნებიან, რომ მდგომარეობა არ შეცვლილა.

**ზარალის რაოდენობა.** საერთო ჯამი გაფიცვის მიერ მიყენებულ ზარალისა ღლიურათ უდრის 3 მილიონ კრონს.

**გაფიცვა შვეციაში.** სტოკჰოლმის სავაჭრო პალატამ იანგარიშა, რომ საყოველთაო გაფიცვისაგან შვეციის ნაციონალურ სიმდიდრეს 3 ნახევარ მილიონის ზარალი მოსდის. თუ გაფიცვა დიდხანს გაგრძელდა, როგორც ამას მუშები ამბობენ, ეს ზარალი დიდათ გაიზრდება.

## რუსეთი

ცარიცინში სამი დღე იყვენ გაფიცული ხე-ტყის გადამტვირთველი ნაპირის მუშები. გაფიცვა მუშების გამარჯვებით დამთავრდა. ხაზეინები დათანხმდენ მუშათა მთავარ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, კვირა-უქმე დღეებში მუშაობის გაუქმებისა და ხელფასის მომატების შესახებ. ზოგიერთ ნავთსადგურზე მუშებს 30 პროც. მოემატათ წინანდელ ხელფასზე. და ასე, აწეულ იქნა იმ ნორმამდე, რომელიც 1905 წლის ხელშეკრულობით იყო დადებული.

**რეპრესიები პოლონელი სტუდენტების წინააღმდეგ.** ვარშავაში ცნობა მიუღიათ, რომ საერო განათლების სამინისტროს მიზნათ აქვს აუკრძალოს ვარშავის სამოსწავლო ოლქის გიმნაზია დამთავრებულთ სხვა უნივერსიტეტებში შესვლა, გარდა ვარშავის უნივერსიტეტისა. ასეთ გადაწყვეტილების საბუთათ ის მოყავთ, რომ პოლონელი სტუდენტები ბოიკოტს უცხადებდენ ვარშავის უნივერსიტეტს და სხვაგან მიდიან.

**პურიშკევიჩი.** პურიშკევიჩს ამ მოკლე ხანში წერილი გაუგზავნია გერცენშტეინის ქვრივის ვექილის ვებერისათვის ასეთი შინაარსისა: „თავი დაანებეთ იმ პროცესს, რომელიც ვოდევილს წარმოადგენს და სახელათ გერცენშტეინის მკვლელობა ჰქვია, ტყუილი მოწმეების მოყვანას და ზომები მიიღეთ, რომ პროცესი მალე დაათავონ და პროცესს 25 წლის იუბილეს გადახდას ნუ დაუსახავთ მიზნათ, თორემ გვერდებს შეგიზელენ „ჭეშმარიტ რუსთა“ კავშირის და „მიხაილ არხანგელის კავშირის“ წევრებიო. ჩვენ კი არ გვსურს, რომ შენ ეს შეგემთხვეს, ჩვენ კულტურული გზით გვიყვარს ბრძოლაო.

**ანეგდოტი სინამდვილეში.** ბესარაბიის გუბერნიის სოფელ კამბრატაში ცხოვრობს ერთი მდიდარი სანკო კილი, რომელსაც სურდა აქ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გახსნა და დახმარებას პირდებოდა სოფელს. სოფელს კი გიმნაზიის გახსნა ჰქონდა მიზნათ და ინსტიტუტის საჭიროებას არ გრძნობდა. საერობო უფროსიც ამ აზრის იყო. ერთხელ, როცა საერობო უფროსი არწმუნებდა ამ მდიდარს, დახმარებოდა გიმნაზიის გახსნაზე, სანკო კილმა ასეთი პირობა მისცა: თუ შენი ხელით მოთიბავ 8-ნახევარ დესეტინა სათიბს 7 ივლისიდან 5 აგვისტომდე, შენ თხოვნას ავასრულებო, საერობო უფროსი დათანხმა. დასდვეს ხელწერილი და საერობო უფროსმა მართლაც მომკო 8-ნახევარი დესეტინა სათიბი. სოფლელები გახარებულია, ახლა კი გველირსება გიმნაზიაო და საერობო უფროსს დიდი ოვაციები გაუმართეს.

**სტატისტიკა.** გაზ. „რეჩ“-ში მოყვანილია შემდეგი ცნობები სხვა და სხვა შემთხვევების შესახებ:

| | დასჯა | ტერორი | სხვა და სხვა მკვლელობა | თვით-მკვლელობა | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|
| აპრილში | 39 | 245 | 197 | 442 | 923 |
| მაისში | 32 | 190 | 176 | 446 | 894 |
| ივნისში | 37 | 216 | 122 | 312 | 687 |
| ჯამი | 108 | 651 | 495 | 1200 | 2454 |
| ჯამი იანვ. და მარტის | 226 | 511 | 397 | 1047 | 2181 |
| განსხვავება | —118 | †140 | † 98 | † 153 | † 273 |

ამგვარათ, უკანასკნელი სამის თვის მსხვერპლთა რიცხვი 273 მეტი წინანდელ სამ თვესთან შედარებით. ყველაზე მეტათ უმატია თვით-მკვლელობას,—ამათში ყველაზე მეტია აპრილში და მაისში—გაზაფხულზე.

მხარეთა დაყოფით ყველაზე მეტი მსხვერპლი ხვდა თვით რუსეთს—782—62,5 პროც; შემდეგ კავკასიას—185, დასავლეთ გუბერნიებს—133, პოლონეთს—72, ციმბირს—44 და ბალტიის მხარე—38. უნდა ვიფიქროთ, რომ განაპირა ქვეყნებიდან ცნობები ნაკლებათ მოდის. სიკვდილით დასჯის გადაწყვეტა იანვარ-მარტის განმავლობაში იყო 375, ხოლო შემდეგ სამი თვის განმავლობაში—380, ამათგან აპრილში—88, მაისში—153 და ივნისში—139, მაგრამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა დაკლებულია 118. დასჯილთა რიცხვი უდრის: რუსეთში—80, პოლონეთში—13, ხოლო დანარჩენ ადგილებში 3—5.

უთვალავი ძარცვა-გლეჯა ეხლა სოფლებში ჭარბობს, ამიტომაც მსხვერპლთა რიცხვი სოფლებში უდრის 407, ხოლო სატახტო და სხვა დიდ ქალაქებში 244.

თვითმკვლელობები მეტათ იზრდებიან; აპრილმა და მაისმა მოგვცა ისეთი რიცხვი თვითმკვლელობათა (442; 466), რომლის მსგავსი არც ერთ თვეში არ ყოფილა. თვითმკვლელობის მიზეზებით (რომელიც იშვიათათ სახელდება) უმეტეს შემთხვევაში ნახსენებია უმუშევრობა და გაჭირვებული ცხოვრება—155; შემდეგ, რომანტიული და სქესობრივი მოტივი—105; ციხეებში ხაჭრა—26; 22 თვითმკვლელობის შემთხვევა იყო ციხეებში.

ივნისის განმავლობაში აღსანიშნავია გახშირება ქალების და მცირეწლოვანთა გაუპატიურებისა, რაც მარტის განმავლობაში მომხდარა 24, აპრილის—24, მაისს—30, ხოლო ივნისს—53. ხშირათ ამ ბარბაროსულ ძალდატანებებს თან ახლდა მრავალნაირი მხეცური მოპყრობა და თვითმკვლელობაც უბედურ მსხვერპლთა.

აი, დღევანდელი რუსეთის დღევანდელი სინამდვილე!

# ახალი ამბები

**ქალების გატაცება** გუშინ წინ, 2 აგვისტოს, გოგოლის ქუჩაზე, სახლი № 12-ში მეძებარი პოლიციის აგენტებმა დააპატიმრეს ანდრია ივანეს ძე ჯაბაური 26 წლისა, ლიუცია სუკი და ანნა დალბერგი 17 წლისა. ჯაბაური თურმე რიგაში ვაჭრობდა. იქ ყოფნის დროს იგი გაეცნო ორ ქალს, ადგილობრივ გიმნაზიის მე-4 კლასის მოსწავლეთ ლიუცია სუკს და ანნა დალბერგს. ჯაბაურმა ესენი მოტყუებით ტფილისში წამოიყვანა. მათ შეჰპირებია ადგილს გიშოვნითო. ნაიდვილათ კი, თფილისში ქალები ცუდ პირობებში ჩავარდენ თურმე. მოსწავლე ქალთა დედ-მამას უცნობებია ამბავი თფილისის პოლიციისათვის. ამას შედეგათ მოყვა ჯაბაურისა და მასთან მყოფ გამოქცეული ქალების დაპატიმრება. ესენი მაძებარ პოლიციის განყოფილებაში იმყოფებიან. გამოძიება სწარმოებს.

**✦ კავკასიის ნამესტნიკი.** კავკასიის ნამესტნიკის ჩამოსვლას თფილისში 15 აგვისტოსთვის მოელიან.

**✦ მოკვლის განზრახვა** 1-ლ აგვისტოს ბაგრატიონის ქუჩაზე ერევნის გუბერნიის მცხოვრებ სიაკ შახნაზაროვს ვიღაც უცნობნი დაუხვდენ და რევოლვერით მსუბუქათ დასჭრეს. შახნაზაროვმა თავის მხრივ ხუთჯერ გაისროლა რევოლვერი, მაგრამ არავინ მოუკლავს. იმ ადგილს, სადაც ეს ამბავი მოხდა, პოლიციამ საჩქაროთ ალყა შემოარტყა. დაპატიმრებულ იქნა რამდენიმე საეჭვო პირი. ამათ შორის ქ. ალექსანდროპოლის მცხოვრები ბალდასარ პეტროსიანცი და ნახიჩევნის მაზრის გეურქ ტერ-აირაპეტოვი, ორივე უმუშევრები. მოწმეებმა ამათზე უჩვენეს, რომ შახნაზაროვს ამათ ესროლესო. ამათ იარაღი თან არ აღმოაჩნდათ. შახნაზაროვის მოკვლის განზრახვა პირადი მტრობის ნიადაგზე მოხდა.

**✦ საჯარო ვაჭრობა.** 7 აგვისტოსთვის ქალაქის გამგეობამ დანიშნა საჯარო ვაჭრობა იმ სახლის გადასატანათ, რომელიც მუხრანის ახალ ხიდის გასაშენებელ ადგილასაა, რიყეს ქუჩაზე.

**✦ ციხიდან განთავისუფლება.** მეტეხის ციხიდან 1 აგვისტოს გაანთავისუფლეს მასწავლებელი კარაპეტ პარუნაკიანი და სარიბეკ არუთინოვი. ესენი ამ რამდენიმე თვის წინეთ დააპატიმრეს.

აბრალებდენ საიდუმლო ორგანიზაციის წევრობას.

**✦ სეირნობა სტუდენტების სასარგებლოთ.** გუშინ წინ, მიხეილის ქუჩაზე “ინტერნაციონალის“ ბაღში სეირნობა გაიმართა ხელმოკლე სტუდენტთა სასარგებლოთ. სეირნობას ხალხი ბლომათ დაესწრო.

**კომერციულ სასწავლებლის გამგეობის თხოვნა.** კომერციულ სასწავლებლის გამგეობამ სთხოვა ქალაქის გამგეობას საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებაში შეიტანოს ის თანხა, რომელიც კომერციულ სასწავლებელს ერგება მიმდინარე წლის განმავლობაში შამხოროვის ნაანდერძევი ფულიდან. კომერციულ სასწავლებელს მთელი თანხიდან სულ ათი პროცენტი ერგება.

**✦ დაპატიმრება.** 1-ლ აგვისტოს მე-7 საპოლიციო ნაწილის პოლიცელებმა დააპატიმრეს ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებნი გიორგი გოგინაშვილი, და გიგო გრატიაშვილი, რომელთაც 25 ივლისს პეტროს ტერ ნაკანოვის მოკვლა ბრალდებათ. ესენი მეტეხის ციხეში ჩასვეს.

— 1 აგვისტოს მე-7 საპოლიციო ნაწილში პოლიცილებმა დააპატიმრეს არჩილ ბორჯაშვილი და იოსებ ოსიკაშვილი, უმუშევრები. ამათ ბრალდებათ სალიანის ქუჩაზე რევოლვერით მეეზოვე შამირ პერუხანოვის დასჭრა. მოწმეები ამტკიცებენ, თითქოს დამნაშავე ესენი იყვენ.

**✦ უბნის ზედამხედველის მკვლელები.** პოლიციამ ცნობა მიიღო, რომ 29 ივლისს უბნის ზედამხედველი ნოდია მოკლა ორმა უცნობმა, რომელნიც ბოროტ-მოქმედების ჩადენის შემდეგ მიიმალენ. აგვისტოს პეტრე დიდისა და ქუკოვსკის ქუჩის კუთხეში მაღაზიაში დააპატიმრეს ანტონ ქანტურია, რომელიც თითქოს ერთი მკვლელთაგანია უბნის ზედამხედველ ნოდიასი.

**✦ ჩხრეკა და დაპატიმრება.** 2 აგვისტოს 1-ლ საპოლიციო ნაწილის პოლიციელებმა და დარაჯებმა დააპატიმრეს 16 კაცი, რომელთაც პასპორტი არ აღმოაჩნდათ. მე-8 საპოლიციო ნაწილში დააპატიმრეს 27 კაცი.

**✦ კონცერტი სურამში.** 8 აგვისტოს სურამში წ. კ. გ. საზოგადოების სასარგებლოთ ილია ჭავჭავაძის ფონდის გასაძლიერებლათ გაიმართება კონცერტი ცნობილი მომღერალის ი. პ. სარაჯიშვილისა და სკრიპკის დამკვრელის თამარა ძნელაძის მონაწილეობით. დეკლამატორი ნ. დ. ერისთავი წაიკითხავს ლექსებს. ლეკურსა და უზუნდარას ითამაშებენ ცნობილი მოთამაშენი. დასაწყისი საღამოს 9 საათზე. კონცერტს განაგებს ნინო ყიფიანისა.

**✦ თავდამსხმელის მოკვლა.** როგორც დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, ბაქოში 1-ლ აგვისტოს მოუკლავთ უცნობი, რომელიც ერთი ინჟენრის სახლში მისულა და 1500 მ. მოუთხოვია.

**✦ სხვა და სხვა ამბები.** 2 აგვისტოს სენაკის მაზრის მცხოვრებ სერაფიონ ჯღარკავამ განუცხადა პოლიციას, რომ მას ბინიდან მოპარეს 350 მანეთი ფულათ და 444 მანეთის ნივთი. ეჭვით დააპატიმრეს იაკობ ბარათელი, ანტონ ქაჯაია, პარმენ სიგუა და ვლადიმირ ბარათელი.

— 2 აგვისტოს პოლიციამ დააპატიმრა საგენერალ გუბერნატოროდან გადასახლებული და თავის ნებით უკან დაბრუნებული იოსებ ბასენკო. მას პასუხის გებაში აძლევენ.

**✦ ეპისკოპოსი ლეონიდე.** გაზეთ „ბაქოს“ სიტყვით, სინოდის მოხელის რევიზიას შედეგათ ის მოყვა, რომ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდე შიდა რუსეთში გადაყავთ.

# პროვინციის ქრონიკა

**ოზურგეთი.** 27 ივლისს, ნაშუადღევს ხოხიტურიდან ჩამოიყვანეს და ადგილობრივ საპყრობილეში მოათავსეს სოფ. ნოდიში (ნანეიშვილის-სუელის საზოგადოება—გურია) 12 წლის ქალის გაუპატიურებასა და შემდეგ მხეცურათ მოკვლაში მონაწილენი სამი ახალგაზრდა ბიჭები, თოკებით ერთა-მეორეზე გადაბმულნი. ადგილობრივმა საზოგადოებამ გაიგო რა დაპატიმრებულთა დანაშაულობა—ზიზღით დაუწყო მათ ცქერა.

— როგორც გადმოგვცეს, 27 ივლისს, დ. ნაგომრის მახლობლად ვიღაც ბოროტ-გამზრახველთ გაუძარცვავთ და შემდეგ მოუკლავთ უეცრით მოვაჭრე—ხადგადარი რამიშვილი. ავაზაკებს სულ წაუღიათ ოთხ მანეთამდე. ვინ ჩაიდინა ამგვარი მხეცობა, დღემდე გამოურკვეველია. გამოძიება სწარმოებს. ეჭვით დააპატიმრეს რამდენიმე პირი.

— ორი დღის 27 და 28 ივლისს, გამუდმებული წვიმის შემდეგ ნათესს გამოცოცხლების დაეტყო. ცოტათი კიდევაც აგრილდა. ამ ჟამათ ისევ მზიანი დღეებია.

— 25 ივლისს მოკლული მუსულმანი და რაჯის გვამი, მეორე დღეს თავის სამშობლოში (ლეღვა) წაასვენეს. მკვლელის აღმოსაჩენათ სასტიკი ღონისძიებაა მიღებული. როგორც ამბობენ, მკვლელი დიხვრის საზოგადოებისაკენ წასულა. ადმინისტრაცია მოითხოვს ხსენებულ საზოგადოებისაგან დამნაშავეთა გაცემას. ბოროტ-გამზრახველთა შორის ასახელებენ ვიღაც ყაჩაღ თოფაძიშვილს, რომლის მოხუცებული მამა უკვე დააპატიმრეს. საზოგადოებაც თავის მხრივ ყოველივე ღონისძიებას ხმარობს, რათა ბოროტ-მოქმედთა ვინაობა არ დაიფაროს და მით თავი იხსნას მოსალოდნელ ჯარიმა—კონტრიბუციისაგან.

## პროგრესისტები „ვარსკვლავიდან“.

(ქუთაისის დღიურიდან).

„ვარსკლაველები“ ჩემ შენიშვნაზე „ჩვ. აზ.“ № 50 და „ჩანგი“ № 13-ში, თავხედურათ დამემუქრენ, ჯერ სათითაოთ თანამშრომლები და მერე საერთოთ რედაქცია ბლღვირს აგადენთო და ამ ბავშურ მუქარას ათ მცნებასავით ასრულებენ. მე მათ პრინციპიალურ ნიადაგზე ვედავები და ვეუბნები, რომ თქვენ დღიურ გაზეთის გამოცემის და მით საზოგადო აზროვნების ხელმძღვანელობისათვის ძალ-ღონე არ შეგწევთ, გამოუცდელი, უცოდინარი პირები შეყრილხართ, არაფერი თქვენ ერთობას არ აკავშირებს გარდა უზომო სახელმოყვარეობის, წერის ქავილის ატეხისა, კეთილი, მარა შეუგნებელი სურვილი ხალხის სამსახურისა და ამაებით თავის განდიდება. ამგვარ ბაგაჟით ორგანოს გამოცემა და ისიც სახალხოთ დანიშნულის, დანაშაულობაა და მომქმედ პირთა დონ-კიხოტობას ნიშნავს და არა ნამდვილ მოღვაწეობასთქვა.

ამავე აზრისანი იყვენ „ვარს.“ ჯგუფზე ის პირებიც, ვისაც მათ მოუწოდეს აქ, თუ თფილისში თავის გაზეთში სამშრომლათ. მათთან შრომის ხალისი არავის არ ქონდა და ეს კიდეც მალე გამართლდა. გამოვიდა „ვარს.“ №№ 1—13-დი და შიგ ვერც მოყვარემ და ვერც მტერმა ვერაფერი დაინახა გარდა წერის უზომო სურვილისა. ამას პრესას გარდა, ყველა გეტყოდათ, ვისაც კი შემთხვევა ქონდა თუნდაც 2—3 ნომერი ამ გაზეთის გადაეთვალიერებინა. დღეს კი ეგევე აზრი იმ მტერ-მოყვარემაც კი გამოსთქვა, რომლის ორგანოდან ჩემ პირად ლანძღვას დღეს „ამხანაგებათ“ წოდებული „ვარსკვლაველები“ არ დაერიდენ. მერე რისთვის დაჭირდათ მათ ეს? რა აქვთ საერთო ამ ორგანოსთან გარდა პირადულ შურიანობა-მტრობისა, რომლითაც ეს გუშინდელი გამოღვაწებულნი ჩემდამი უსაფუძვლოთ და უმართებულოთ ალიქურვენ?! დღეს „ვარს.“ სხვა მასალა რომ აღარ აქვთ, ჩემთან ბრძოლით ისე არიან გატაცებულნი, რომ თავიანთი ორგანო აღარ იკმარეს და მოწინააღმდეგის ორგანოში გადაბარგდენ. თავიანთი დემაგოგიური წერილებით „ივერიამაც“ ისინი ხელგაშლილი მიიღო პირველათ, თუმცა მეორე კვირას კი უღალატა მას, მხოლოდ რასაკვირველია, ამ შემთხვევაში არ უღალატნია თავის ტაქტიკისათვის, რომ საპოლემიკო, სალანძღავ წერილებით მაინც მოუპოვოს თავის ორგანოს მკითხველები ამ რეაქციის ხანაში. მისი პატრონი დარწმუნებულია, რომ ასეთ წერილებს უფრო გასავალი აქვს ჩვენში, მას მეტი მკითხველი ეტანება, რაკი ერთმანეთის ლანძღვას ყველა რაღაც სიამოვნებით კითხულობს, გაზეთს გაუთავებლათ არ დააგდებს. ამიტომ მან თავის ორგანო უპარტიოთ გამოაცხადა და „რეალურ პოლიტიკის“ მიმდევარი იწვევს თავის ორგანოში საპოლემიკოთ ყველას, ვინც საპოლემიკო ჟინითაა შეპყრობილი.

უვიც და მეტიჩარა „ვარსკ.“-საგან სალიტერატურო ენის უცოდინარობასთან არც სალიტერატურო ეთიკის დაცვას მოველოდით იმიტომ, რომ მათ წერის უზომო ქავილი აქვთ ატეხილი ვიცოდით ზნეობის ოწინარის არ შქონე ვაჟბატონები არაფრით დაგვზოგავდენ. ამიტომ პრესაში მათი თავხედობით რომ არც მკითხველები შემეწუხებინა და მეც მეტი დრო არ დამეკარგა ამ ბავშებთან პოლემიკაში, წინადადება მივეცი მათ გამომყოლოდენ საზოგადოებრივ სამართალში, სადაც ორთავე მხარის, მიერ ამორჩეული მცოდნე პატივცემული კაცები გაარჩევდენ ჩვენ დავას და დასდებდენ თავიანთ მსჯავრს ორთავე მხარის მოქმედებას, მაგრამ მათ ამას ყური აავლეს, სიტყვა ბანზე აიგდეს და ქუთაისის ბულვარზე ჩემი პირადი მტრებისაგან მოჭორილ ამბებზე დამყარებულნი, ბრალს მდებენ, თითქო მე მათი გაზეთის გავრცელებისათვის პრაქტიკულათ ხელი შემეშალოს. და აი დღეს ამის გამო მათი ცრუ ბელადი „Саеп“-ი სამედიატორო სამართალში მიწვევს „ივ.“-დან, სადაც მან ჩვეულის თავხედობით მე პროგრესის წინააღმდეგ მებრძოლათ გამომიყვანა, დაგვისახა რა თავისიანების დონკიხოტური მოქმედება სოციალისტურ, კულტურულ-პროგრესიულ მოღვაწეობათ.

სიტყვით სოციალის ტ-პროგრესისტობა და მეტიჩრულათ ამ წმიდა სახელების წამოძახილი, მუშის სახელის ყალბათ, ცრუთ ტარება და იმათი ასე მეტიჩრულათვე გამოქომაგება ჯერ მყვირალა „ვარსკვლაველებისათვის“ მიმინდვია და მერე მათ დროებით გამოქომაგებელ „ივ.“-სათვის, თუ კი, რასაკვირველია, როგორც ეს სიტყვები, ისე ეს ამდროულ მოძღვრება მის პატრონს ისევე არ ძულს, როგორც ურიას ღორის ხორცი. ამავე „ვარსკვ.“-თა უვიცობის გულღვარძლიანობას უნდა მივაწეროთ, რომ ისინი ვითომდა ხალხის ნამდვილი ინტერესების დამცველი „სოც.-პროგრესისტები“ დღეს „ივ.“ აეტმასნენ და იქიდან ასე მედიდურათ გვიკიჟინებენ რეტროგრადობას და ვაჭრული ფსიხოლოგიით ხელმძღვანელობას.

დასასრულ, საპოლემიკოთ მადა-აღძრულ ბ. Саеп-ს მოვახსენებ, რომ ჯერ ჩემ წინადადებაზე მომცეს პასუხი: თანახმაა თუ არა ამორჩეულმა მცოდნე პირებმა დასდვან მსჯავრი ჩვენ შორის დავას და მაშინ მისი „ივ.“-დან ჩემი სამედიატორო სამართალში გამოწვევის სხვა საკითხებიც იქ გადაწყდება, მანამდი კი მე წინადადებას გაძლევთ თუ სინდისერი მოკამათე ხართ თქვენებურ საპოლემიკო ჯღაბნაზე ხელი აიღოთ და მედიატორებმა გადაწყვიტონ ვინაა ჩვენ შორის კულტურულ-პროგრესიული მუშაობის ხელის შემშლელი თუ შემწყობი, ვინაა ვაჭრულის საზომით საზოგადო, სალიტერატურო საქმეების მზომელი, ვინაა პრესის პრესტიჟის დამცემი, ვინაა ხალხის ინტერესების-გულწრფელი მოამაგე, ვინ არის ცრუ და სიმართლის მოღალატე, ვის როგორ გვიცნობენ ქუთაისში, გინდ სხვაგან, ვუშლიდი თუ არა პრაქტიკულათ ხელს მათი გაზეთის გავრცელებას და სხ. მაგვარი საკითხები, რაც დაყენებული იქნება სამედიატორო სასამართლოს წინაშე. და თუ თქვენ ამ მსჯავრის დადგენამდე თქვენებური დონკიხოტობა არ მოგიშლიათ, წინადადებას ვიძლევი, მერმე მაინც გამტყუნებულმა მხარემ ხელი აიღოს მწერლობაზე მანამდე, სანამ არ დავაქაცდება და მომწიფდება იმ საქმეში, რომლის ხალისი ასე აღძრიათ „ვარსკვლაველთა“ ჯგუფს. მანამდი კი, მე მათთან პოლემიკაზე ხელს ვიღებ, ვხელმძღვანელობ რა ანდაზით: ყბედს რა მოლის და მუნჯით.

დასასრულ საჭიროთ მიმაჩნია გაჩუმებულმა რედაქციებმაც გამოთქვან თავიანთი აზრი „ვარს“-თა სალიტერატურო ასპარეზზე მოღვაწეობის, ქუთაიურ ორგანოს ხელმძღვანელობის შესახებ, რათა მათ თავხედურ, ბავშურ გატაცებას ფრთები შეეკვეცოს და ხელი აიღონ ისეთ საქმიანობისაგან, რაც მათ ძალღონეს არ შეფერის. **იხო.**

## წყლის-საყვანი ქუთაისში.

(წერილი ქუთაისიდან).

კულტურულ სახელმწიფოებში დღეს ძვირათ ნახავთ ისეთ—ცოტათი მაინც მნიშვნელოვან—ქალაქს, რომელსაც რიგიანათ მოწყობილი წყლის საყვანი არ ქონდეს. ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან ქალ. თვითმართველობის უმთავრეს დანიშნულებას მცხოვრებთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა შეადგენს. ჯანმრთელობის და საზოგადოთ, ჰიგიენის საკითხი კიდიდათ დაკავშირებულია წყლის საყვანის მოწყობაზე. მისი რაციონალურათ

მოწყობა—ეს მოქალაქეთა დახსნაა მრავალი გადამდები სენისაგან, რომლებიც უამისოთ ეჭვი არაა, ფეხს ადვილათ მოიკიდებდენ. ევროპაში ცნობილია, რომ სხვადასხვა სენისაგან გარდაცვალებულთა რაოდენობა გაცილებით მეტია იმ ქალაქებში, სადაც წყლის-საყვანი არ არის მოწყობილი (რასაკვირველია, სხვა მიზეზებს გარეშე). ამიტომაცაა, რომ მას დიდ ყურადღებას აქცევენ ყველგან,

არც ქუთაისის ქალ. თვითმართველობას დაუტოვებია ეს ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი უყურადღებოთ. მართალია, წყლის საყვანი ქუთათურებს დღესაც სანატრელ საგნათ გაგვხდომია, მაგრამ ეს ხომ თვითმართველობის ბრალი არაა (!). მან წყლის საყვანის შესახებ საკითხი 25 წლის წინეთ აღძრა, სახელდობ, 1884 წელს, და, მაშასადამე, მოქალაქეთადმი მზრუნველობაც გამოიჩინა, ე. ი. ნამდვილათ რომ ვსთქვათ, სურვილი გამოსთქვა მოქალაქეთა მზრუნველობაზე. 1884 წელსვე უკრეს ქალაქის მამებმა ამ საკითხს თავი დავიწყების გოდორში, ვითომ და მასალების უქონლობის გამო. სრული 16 წელიწადი განისვენებდა მივიწყებაში ეს საკითხი და მხოლოდ 1901 წელს ეღირსა ხელახლა განხილვას. წყლის საყვანის გმოყვანა მიენდო ინჟენერ მიხაილოვს, რომელმაც დაიწყო კიდეც მუშაობა, მაგრამ ვერ შესძლო მისი გაგრძელება და თავი გაანება.

1909 წ. 28 ივნისს ეს კითხვა ხელახლა დაისვა გასარჩევათ. ქალაქის თვითმართველობას წინადადება მიუღია ორი ფირმისაგან: ერთი ფირმის წარმომადგენელი არიან: სამთო ინჟენერი ი. დადიანი და ინჟენერი მექანიკი—ა. კანცელი. მეორე ფირმის წარმომადგენელი კი—გრაფი დროგოიოვსკი და ინჟენერ-მექანიკი ჯავახშვილი. მათი წინადადების განსხვავება არსებითათ იმაშია, რომ უკანასკნელი ამ თავითვე გვპირდება გიდრო-ტეხნიკური შენობების აგებას მდ. რიონზე ხოლო პირველი სითბოს მამოძრავებლით აპირობს წყლის გამოყვანას, ხოლო როდესაც 400 ცხენის ძალა გახდება საჭირო, მაშინ გიდრო-ტეხნიკურ შენობებს ააგებს.

ამ წინადადებების შესახებ მსჯელობა ქონდა წყლის-საყვან კომისიას 28 ივნისის და საბჭოს თავისი აზრი წარუდგინა. კომისიის აზრით წყლის საყვანისათვის უნდა გამოიყენონ რიონის წყალი, საწმენდი გატარებული, წყლის საყვანი უნდა მოეწყოს კონცესიონური გზით და სხვ...

კომისიის აზრი საბჭომ მოიწონა... მიუხედავათ ამისა, საბჭომ საჭიროთ დაინახა დაეთვალიერებია ქალაქის გარშემო მდებარე წყაროები და თუ შესაძლებელი იქნებოდა ესარგებლა წყაროს წყლით. ამას თავგამოდებით მოითხოვდა ხმოსანი ნაზაროვი. ამ მიზნით ქალაქის გამგეობამ ბაქოდან დაიბარა სამთო ინჟენერი დადიანი და კანცელი. 29 ივლისს წყლის საყვანი კომისიის წევრები, ქალაქის ინჟენერის და კანცელის თანხლებით გაემგზავრენ ჰიშურაზე, პაცრის წყალის და ჰიშურას (მდინ.) დასათვალიერებლათ. კომისია საღამოს დაბრუნდა და მცოდნე პირთა თანადასწრებით კრება გამართა. გამოირკვა, რომ ფაცრის წყალი ფიზიკური თვისებით ჰიშურაზე დაბლა დგას. ის უფრო ღვრია არის, რასაც უბრალო, შეუიარაღებელი თვალითაც შეატყობს კაცი და ამავე დროს გემოს მხრივაც ნაკლები. ესეც რომ არ იყოს, ფაცრის წყალს დღე და ღამეში შეუძლია მხოლოდ 22,000 ვედრა წყალის მოცემა. ქალაქს კი 50,000 მცხოვრები ყავს. მცოდნე პირთა გამოკვლევით ადამიანზე დღე და ღამეში 150 ლიტრი, ჩვენებურათ 12 ვედრა წყალია საჭირო. ჩვენ ვიანგარიშოთ 8 ვედრა რაც 50000 მცხოვრებზე 400,000 ვედრა წყალს შეადგენს, ცხადია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებასაც, რომ მცხოვრებთა რიცხვი მუდმივ იზრდება, ფაცრის წყალს მარტო ამ მხრითაც არ შეუძლია მოქალაქეთა დაკმაყოფილება. ჰიშურის წყალს კი რიონი გაცილებით სჯობია და თუ გინდ ერთხარისხოვანიც იყოს, სად 11 ვერსის მანძილზე წყლის გამოყვანა და სად ქალაქშივე ჩამომავალი წყლით სარგებლობა. საჭიროა მხოლოთ რიონი ისეთი ადგილიდან გამოიყვანონ, სადაც სიბინძურე და ნაგავი არ იყრებს. ზემოთ მოყვანილი აზრი წყლის საყვანი კომისიისა დამსწრეთა კრებამ მოიწონა და ამნაირათ გადაწყდა წყლის სიყვანისათვის გამოყვანილ იქნეს რიონის წყალი, რაც თვისებითაც კარგია, რაოდენობითაც დააკმაყოფილებს მცხოვრებთ და მასთანავე იაფიც იქნება, ვედრა ერთ მეხუთედ კაპიკათ.

დაინტერესებულ ფირმების წარმომადგენელთ წინადადება მიეცათ 10 დღის განმავლობაში წარმოადგინონ შემუშავებული პროექტები ხელშეკრულობის დასადებათ.

ვისურვებთ, რომ ქუთაისის მცხოვრებთ მოკლე მომავალში მაინც ღირსებოდეთ რიგიანი წყლის-საყვანი.

—ნელი.

## ბ-ნ ნანობაშვილის თავის გამართლება

(იხილე „ჩვენი აზრი“ № 50)

„Бѣда коль пироги начнетъ печь сапожникъ, а сапоги точать пирожникъ.“

ბ-ნ კოწია ჯაფარიძის წერილის საპასუხოთ ბ-ნ ნანობაშვილმა გაზეთს „ჩანგში“ მეტერთელა წერილი მოათავსა. ის არწმუნებს—ნატალია გაბუნია-ცაგარელისთვის დედა არ შემიგინებიაო. სტყუის უანგარო საზოგადო მოღვაწე. იმან მე შემაგინა დედა რუსულათ, რის მოწამეც არტისტი შალიკაშვილი ბრძანდებოდა, სამწუხაროთ, ამ უკანასკნელმა ვერ გამოიჩინა იმდენი მოქალაქობრივი გამბედაობა, რომ სისწორით სრულიად გადაეცა მკითხველ საზოგადოებისთვის ის სიტყვები, რომელიც ჩემს შესახებ ბ-ნ ნანობაშვილმა იხმარა. შალიკაშვილი სწერს: ნანობაშვილმა უწმაწური სიტყვები იხმარაო. დიახ, სწორედ მეც მაგას ვამბობ. ნანობაშვილმა იხმარა იმისთანა უწმაწური სიტყვები, რომელსაც ზრდილობიანი ადამიანი არ იხმარს. თუ ბ-ნ შალიკაშვილს დაავიწყდა მე მოვაგონებ, როგორ მოხდა ეს ამბავი: დრამატიულ საზოგადოების თავმჯდომარემ, ბ-ნ ჯაბადარმა, მთხოვა, რომ ორი თიბათვის წარმოდგენაში მონაწილეობა მიმეღო. სრული დარწმუნებული, რომ ტყუილა არ მათამაშებდენ და დაწესებულ 40 მანეთს მომცემდენ, ბ-ნ ჯაბადარს სიტყვა მივეცი. ამის შემდეგ ორმა თუ სამმა დღემ გაიარა. საღამოზე რამდენიმე ნაცნობებთან ერთათ სათავადაზნ. ბაღში წავედი. ბატონი ჯაბადარიც იქ იყო. იმავე დროს და იმავ ბაღში მე ვიღაცამ მითხრა, რომ დრამატიული საზოგადოების გამგეობა ფულის მიცემას არ გიპირებსო. ეს ამბავი მე დაუჯერებლათ მეჩვენა, რადგანაც არ მეგონა, თუ გამგეობა თავის გადაწყვეტილებას არ შეასრულებდა და მე, სცენიდამ გაძევებულს, სათამაშოთ მიმიწვევდა და ფულს არ მომცემდა. ეს ჩემი გაკვირვება გავუზიარე ბ-ნ შალიკაშვილსაც, რომელმაც დამამშვიდა და მითხრა: „ტყუილი გადმოუციათ თქვენთვის, უფასოთ როგორ მიგიწვევდენ, მე თითონ ვნახე, რომ თქვენი გონორარი სმეტაშია შეტანილიო“. რომ უფრო დავრწმუნებულიყავი შალიკაშვილის სიმართლეში—მე ვთხოვე მას მისულიყო ბ-ნ ჯაბადართან და ეკითხა: უსასყიდლოთ უნდათ ისარგებლონ ჩემი შრომით თუ არა, პატარა ხანს იქით ბ-ნ შალიკაშვილი დაბრუნდა და მითხრა: „უკაცრავათ ნატო, მე შევმცდარვარ, მართალი გადმოუციათ თქვენთვის, უფასოთ უოფილხართ მოწვეული ამ წარმოდგენაზე, არც მე, არც სხვას არასოდეს არ აძლევენ და თქვენთვისაც ისე უთხოვნიათო“. კაცო, თუ თქვენ არასოდეს არ გაძლევენ ალბათ, იმიტომ რომ, მთელი სეზონი იღებდით ჯამაგირს, აი ეს მეორეთ მართავენ თქვენ სასარგებლოთ წარმოდგენას და მე კი კაპეიკი არ შიმიდია წელს. ნუ თუ ეგრე უნდა მომეპყრათ მეთქი. შალიკაშვილის მაგიერად ნანობაშვილმა მომცა პასუხი. შენ სახალხო წარმოდგენებში ორ თუმნათ თამაშობ და ჩვენ ოთხ თუმანს გვთხოვო. მე ამის შესახებ მხოლოდ ეს ვუთხარი: „ეგ ოთხი თუმანი ხომ თქვენ თითონ დამიწესეთ-მეთქი“. რახან აგრეა, სთქვა გულმოსულმა ნანობაშვილმა—წარმოდგენას აღარ გავმართავთო. ესა სთქვა და თან დედაც შემაგინა რუსულათ. ნანობაშვილის უზრდელმა საქციელმა ისე გამაოცა, რომ კარგა ხანს ხმის ამოღება ვეღარ მოვახერხე. იქვე ცოტა მოშორებით ცალკე სტოლზე ისხდენ: ალექსანდრე ჯაბადარი ვასო აბაშიძე და ბ. ურუშაძე ყველა ესენი მეტათ აღელვებია ბ-ნ ნანობაშვილის უზრდელობას. ვინ უამბო იმათ მე და ნანობაშვილის ზემოთ აღნიშნული ლაპარაკი? იმ დროს ხომ ჩვენ გარდა, მარტო შალიკაშვილი იყო იქ! მეორე დღეს თეატრის შენობაში წავედი. იქ დამხვდენ კოტე მესხი, ვასო აბაშიძე, ურუშაძე და შალიკაშვილი. ყველა ძალიან შეეწუხებინა იმდამინდელ ამბავს, თვით ბ-ნი შალიკაშვილიც მეტათ აღელვებია ნანობაშვილის საქციელს და, როგორც გალანძღულს თანამიგრძნობდა, მხოლოდ ვერ ამართლებდა ჩემს უარის თქმას თამაშობაზე. „ნანობაშვილმა რომ სიბრიყვე ჩაიდინოს, ამხანაგები რა შუაში ვართო“, რის ამხანაგი ხარ, გვერდით მიდექი დედა შემაგინეს და შენ კი ხმაც არ ამოიღე-მეთქი. მე რომ შენი დედა ან ცოლი ვყოფილიყავი, მაშინაც აგრე გაჩუმდებოდი-მეთქი? დედა და ცოლი სხვა არის და ამხანაგი სხვაო,—მითხრა ბ-ნმა შალიკაშვილმა, რომლის საპასუხოთ კოტე მესხმა ეს სიტყვები წარმოსთქვა: „შენს ადგილას რომ ვყოფილიყავი მე დავუმტკიცებდი, რომ მაგ შემთხვევაში დედას, ცოლს და ამხანაგს გარჩევა არა აქვსო. ასე იყო ბატონებო ეს ამბავი და ბევრიც რომ იფიცოს ბ-ნმა ნანობაშვილმა გაბუნია-ცაგარლისთვის დედა არ შემიგინებიაო, არავინ დაუჯერებს, რადგანაც ტყუილს მოკლე ფეხები აბია. და ან რა არის დაუჯერებელი? განა ნანობაშვილის წერილი არ ამტკიცებს მის უზრდელობას. ვინც წაიკითხავს იმ წერილს განა არ იტყვის, რომ იმ წერილის ავტორი ყველაფერს უზრდელობას ჩაიდენს? გაბუნია-ცაგარლისა დაურუვდაო, სცენა საწველ ფურათ გაიხადაო, ფეხებზე ჰკიდიაო. სცენიდან არ გაგვიძევებიაო და სხვ.

ერთი სიტყვით, სიცრუე და სხვა უზრდელობა ამ წერილში ყველა ერთათ არის არეული. არსებითათ იმ წერილის განხილვით აქ არ შევაწუხებ საზოგადოებას. მოვითხოვ მხოლოდ, რომ საზოგადო კრებაზე გამოირკვეს შემდეგი კითხვები: 1) ვინ დასვა დიაგნოზი ჩემი სიცრუისა და უვარგისობისა; 2) ვინ გაიხადა სცენა საწველ ფურათ; 3) ვის ჰკიდია სცენა ფეხებზე; 4) ვინ არის წყარო ინტრიგებისა; 5) მართალია თუ არა, რომ მე და კოტე ყიფიანი გაგვაძევეს სცენიდან და ვისი წყალობით მოხდა ეს. ვისაც უყვარს სამშობლო სცენა ყველა ეს კითხვები უნდა გამოირკვეს საზოგადო კრებაზე. და ბოლოს, არ შემიძლია უპასუხოთ დავტოვო ბ-ნ ნანობაშვილის წერილიდან ის ადგილი, სადაც ლაპარაკობს თავის უსასყიდლო შრომის შესახებ. მერე რაო ბ-ნო ნანობაშვილო, აქაო და ჩემ შრომაში სასყიდელს არ ვიღებო, ამისათვის უნდა გვლანძღოთ?

თქვენ რომ დრამატიული ხელოვნებისა გესმოდეთ რამე, და თვით ეს ხელოვნება გიყვარდეთ, განა მე თქვენ დედას შემაგინებდით? განა თქვენ არ გაგახსენდებოდათ ჩვენი სცენის ისტორია, განა არ წარმოიდგენდით იმ ჯაფიან წუთებს, აუტანელ შრომას, რომელსაც ჩვენ, ქართველი არტისტები ვეწეოდით ჩვენი საყვარელი სცენის ასაყვავებლათ! [illegible] ძლიერ დავბერდით, სცენისთვის აღარ ვარგივართ, შეიძლება ჩვენზე უკეთესები გაჩნდენ ეხლა, მაგრამ ხომ იყო დრო, როცა ჩვენითაც კმაყოფილი იყო საზოგადოება! დიახ, ყველა ამას მოიგონებდით თქვენ და იმ სცენის პატივისცემის გულისთვის, რომელსაც თქვენ უსასყიდლოთ ემსახურებით, მე, ამავე უვარგის სცენის მოსამსახურეს, პატივს მცემდით, ჩემს ძველ შრომას მაინც დააფასებდით, სხვა რომ არა იყოს-რა, როგორც ქალს პატივისცემით მაინც მომეპყრობოდით. ტყუილათ კი არ უთქვამს ნეტარხსენებულს კრილოვს ეს შესანიშნავი სიტყვები:

„Бѣда коль пироги начнетъ печь
сапожникъ,
а сапоги точать пирожникъ“.

ნ. გაბუნია-ცაგარლისა.

## ე. ნინოშვილის ფონდი

დაბა ოჩემჩირეში მოვაგროვეთ ეგნატე ნინოშვილის ფონდის სასარგებლოთ 10 მან. 60 კაპ. გიგზავნით ფულს დანიშნულებისამებრ გადასაცემათ და გთხოვთ თქვენი გაზეთის უმახლობელეს ნომერში გამოცხადებულ იქნას სია შემომწირველთა:

პროკოპი ძნელაძე 50 კაპ.; ბიკტორ ჟ—ლიანი 50 კაპ.; პლატონ გოლავა 50 კ.; ბესარიონ ჭუბაბრია 50 კ.; სილიბისტრო ჭელიძე 50 კ.; გიორგი ბოლქვაძე 50 კ.; ვანო მილორავა 50 კაპ.; ხალიდ კარახმანია 40 კ.; სელიმ დვალიშვილი 50 კ.; შალიკო ჭელიძე 50 კ.; დავით ტულუში 50 კ.; გრიგორ სარიშვილი 50 კ.; სოლომონ გოლიაძე 20 კ.; რუბენ გოგიტიძე 50 კ.; ალექსანდრე ზვანბაია 50 კ.; იასონ რობაქიძე 25 კაპ.; ს. კიკნაძე 1 მან.; კ. აბაშიძე 50 კ.; მიხაილ ალასინია 30 კ.; კოლია პაპასკირი 30 კ.; სპირიდონ ბასილაია 40 კ.; ქორქაშვილი 50 კ.; ვლადიმერ კაკაბაძე 25 კ.; სულ შემოვიდა 10 მან. 60 კაპ., აქედან გამოსაგზავნი 15 კ. ვგზავნით დანარჩენ 10 მან. და 45 კაპ. *).

—

„ჩანგი“-ს რედაქციამ მიიღო მიხეილ გიორგის ძე ჭავჭანიძისაგან ე. ნინოშვილის ძეგლის სასარგებლოთ ქ. შუშაში მცხოვრებ ქართველებს შორის შეგროვილი ექვსი მანეთი (6 მან.) შემომწირველთა სია:

მ. ჭავჭანიძე 1 მან.; ლ. ლაშხაური 1 მან.; კ. მაჭავარიანი 1 მან.; ა. ნინიძე 1 მან.; ა. ნატრიაშვილი 1 მან.; შ. ცხადაძე 1 მან. სულ 6 მან.

*) ეს ფული—10 მან. 45 კაპ. მიიღო „ჩანგის“ რედაქციამ. რედ.

—

„ჩანგი“-ს რედ. მიიღო ეგ. ნინოშვილის ძეგლის სასარგებლოთ ისიდორე ლომთათიძისაგან ქ. ოდესაში ქართველ მუშათა შორის შეგროვილი თოთხმეტი მანეთი და ოცდა ოთხი კაპეიკი —14 მან. 24 კაპ. შემომწირველთა სია:

კოლა მენაბდე, მ. საღარაძე, ვას. დარჩია, ვარ. ჭყონია, გიო. სიმონაიშვილი—თითო მანეთი;

გრიშა ზურაბის ძე გაბუნია, ლ. გაბუნია, მელ. ბოლქვაძე, ერის. ლვინერია, გრ. ჯიშკარიანი, სიმ. ჩხეიძე, მათე ჩხეიძე, ალექ. უგლავა, პავლე უგლავა, მიხა ვოთანაშვილი, ალ. გამინალდიშვილი, ლად. გაგუა—ათ-ათი შაური.

უმუშევრებისაგან: გიორ. ქერქაძე, ალ. მამარდაშვილი—ათ-ათი შაური; პეტ. სეფერთელაძე 30 კ.; ამბ. კალანდაძე 10 კ.; ლ. იმედაშვილი, ნიკ. მენაღარაშვილი, თედორე სიხარულიძე—ხუთხუთი შაური; ვანო წულაია ა. კიკნაძე ათ-ათი შაური, იასე რუხაძე 25 კაპ.—სულ 14 მან. 40 კ. გამოსაგზავნი ხარჯის გამოკლებით დარჩა 14 მან. და 24 კაპ.

## მუშათა შორის

**ფოთი**. უმუშევრების წერილი. ჩვენ, ფოთელ უმუშევრების ერთ ჯგუფს, ხეირიანათ გვაქვს წარმოდგენილი ის ლუხჭირი პირობები, რომლებშიაც ვიმუშავებით. დიდი ხანია ჩვენ უმუშევრებათ ვართ დარჩენილი და არა ერთხელ მივმართავს სამუშაოზე მუდმივ მუშაობისთვის, რომ მათ გაეწიათ ჩვენთვის დახმარება. მაგრამ, სამწუხაროთ, არც ერთმა მათგანმა ყურათ არ იღო ჩვენი მიმართვა.

მთელი წელიწადია, რაც რუსის სანავთოსნო საზოგადოების მუშათა არტელს და მის ხელმძღვანელ კომისიას წინადადებას ვაძლევთ არტელის საერთო კრებაზე გაერჩიათ ჩვენი წინადადება, მაგრამ ამაოთ! ხან: ვერ გასწრებთო, ხან კრება არ შესდგაო. როცა ისმებოდა კითხვა კრებაზე, (ალბათ განზრახ, სხვაფრივ ამის ახსნა არ შეგვიძლია), როცა ჩვენ კითხვაზე მიდგებოდა ჯერი, ყოველთვის გაურჩეველი რჩებოდა. ასე რომ, რუსის არტელმა ჩვენ წინადადებაზე არ გაგვცა პასუხი, არ ჩაგვაყენა გარკვეულ მდგომარეობაში და ასე, მათი შემწყურე შიმშილით ვიხოცებით. ჩვენ ვიცით, რომ რუსის არტელში არის დღეს რამდენიმე თავისუფალი ადგილი. ჩვენ არ ვართ სამუშაოს „სოციალიზაციის“ მომხრე, მაგრამ როცა თავისუფალი ადგილი გამოჩნდება რომელიმე სამუშაო დარგში, იქ რომ მიიღონ უმუშევრები, ეგ „ღვთის წყრომა“ არ იქნება. რუსის მუშათა არტელს, ჩვენის აზრით, მეტი მოეთხოვება, ვიდრე სხვებს. ეხლა უკანასკნელათ (რახან სხვაფრივ ვერას გავხდით) წინადადებას ვაძლევთ რუსის მუშათა არტელს, გაარჩიოს ჩვენი წინადადება და გაგვცეს მასზე პასუხი. ეგ სამართლიანი მოთხოვნაა და ამას არ უნდა გაექცეს არტელი. შეიძლება არტელში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ აღმოჩნდეს, შეიძლება ჩვენი იქ კითხვის გარჩევამ ჩვენ ვერ მოგვიპოვოს სამუშაო, მაგრამ გარკვეული პასუხი მაინც საჭიროა.

იმედია, ამ ერთ და უკანასკნელ კულტურულ გზას ვერ გაექცევა არტელი და გაგვცემს პასუხს, როცა გაარჩევს ჩვენ კითხვას. აბუჩათ აგდება უმუშევარ ამხანაგების, როგორც აქამდის ჩადიოდა არტელი, ამწვავებს მათ ჩვენდამი დამოკიდებულებას.

გრიგოლ კალანდაძე, იაკობ დოჭვირი, გიგო ლომთათიძე, ზოსიმე ჯვაბა, მირიან მგელაძე.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! „ჩანგის“ № 22-ში ს. დაწირიდან წერილია მოთავსებული, რომლის ავტორობას მე მწამებენ, ვისაც ის წერილი შეეხება და ჩემზედ უნდათ შური იძიონ. ვაცხადებ, რომ ის წერილი ჩემი დაწერილი არ არის, რაზედაც ვთხოვ პატივცემულ რედაქციას განმარტოს, მეკუთვნის თუ არა მე ის წერილი *).

ალ—რე გ. თხილავა.

*) რედაქცია ამით ამოწმებს, რომ ის წერილი—რე გ. თხილავას არ ეკუთვნის. რედ.

რედაქტორ-გამომცემელი
ლ. დადიშკელიანი.

## მატარებლების მიმოსვლა

(18 აპრილიდან)

ფრჩხილებს გარეთ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში ტფილისისა.

**ტფილისიდან გადის**

**ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო № 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო № 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო № 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო № 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო № 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

**ბორჯომამდე:** 1) სამგზავრო № 7/8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო № 9/10, ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

**ჯულფამდე:** საფოსტო № 74/75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.).

**ერევნამდე:** სამგზავრო და საქონლ. № 78/79, ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**მცხეთამდე:** მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა უქმეებში 1) სააგარაკო № 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) საგარაკო № 77a, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**ტფილისში მოდის**

**ბათუმიდან:** 1) სწრაფი № 2, დილის 8 ს. 38 ს. (9 ს. 36 წ.).
2) საფოსტო № 4, საღამოს 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო № 6, დილის 5 ს. 50 წ. (6 ს. 48 წ.).

**ბაქოდან:** 1) სამგზავრო № 11, დილის 9 ს. 47 წ (10 ს. 45 წ.).
2) საფოსტო № 3, დილის 7 საათ. 8 წ. (8 ს. 6 წ.).
3) სამგზავრო № 5, ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.).

**ბორჯომიდან:** 1) სამგზავრო № 7/8, დილის 6 ს. 46 წ. (7 ს. 44 წ.).
2) სამგზავრო № 9/10, საღამოს 8 ს. 4 წ. (9 ს. 2 წ.).

**ჯულფიდან:** საფოსტო № 72/73, დილის 5 ს. 28 წ. (6 ს. 26 წ.).

**ერევნიდან:** სამგზავრო და საქ., ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.).

**მცხეთიდან:** მხოლოდ კვირა-უქმეებსა და კვირა-უქმეების წინა დღის სააგარაკო № 76a, ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2. ს. 28 წ.). საგარაკო № 6, საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.).

## განცხადებანი

**კბილის ექიმი**

ს. ნ. მაცრიოსოვიჩ-სანოვიჩი.

დაპლომბის გაკეთება, ამოღება, ექიმობა და ხელოვნური კბილების ჩაყენება „პლასტინკით“ და „უპლასტინკოთ“ სამკურნალოების ფასებში. მიღება ყოველდღე დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 ს. ვერის დაღმართი № 21 (50—7)

ფერშალი

**ლ. ბარკალაია**

უცრის ყვავილს, იღებს ყელჭირვებით, ხუნაგით და ვენერიული სენით ავათმყოფებს 3 საათიდან 6 საათამდე. გოგოლის ქუჩა № 68.

# სიკვდილი ბაღლინჯოებს.

ახალი საშუალება კლაპოვინი, რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ მინუტში, რისთვისაც პირობას ვაძლევთ. ჯერ არ ყოფილა ამგვარი საუკეთესო წამალი. ფლაკონი 35 კ., დარიგება თან ახლავს. ვგზავნით ფას-დადებით. მოითხოვეთ კლაპოვინი ახობაძისა. **ერთად ერთი საწყობი ტფილისში**, ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ, ნეკრასოვის ქუჩა № 14. აფთიაქებს პროც. 30—14




# ა ლ მ ე ზ ა

ალმეზა 2 წუთში აცხრობს კბილის ტკივილს. კარგავს პირის სიმყრალეს. ამაგრებს ღრძილებს, აჩერებს სისხლის დენას. აუცილებელი საჭიროა ყოველს ოჯახში. ვარჩენთ კანტორაში უფასოთ. ფასი ნორ. ფლ. 1 მ. 20 კ. საცდელისა 40 კ. ვგზავნით ფასდადებით. დარიგება თან ახლავს; **საწყობის კანტორა ტფილისში**, ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ, ნეკრასოვის ქუჩა № 14. 15—6